ნანა ფალავანდიშვილი

მიგრაციები

წიგნი II

წიგნი გამოიცა
საქართველო-ირლანდიის კულტურული ურთიერთობების ცენტრის
პროექტის ფარგლებში

ეძღვნება ირლანდიის დამოუკიდებლობის
100 წლისთავს

ნანა შალამბერიძე
მიგრანტები, წიგნი II.

გამომცემლობა „ივერიონი“.
თბილისი 2018. გვ.100.

რედაქტორი: **ზაურ ნაჭყებია**
პუბლიცისტი

კორექტორი: **დიანა შალამბერიძე**

ყდაზე: **„ლირის შვილები“** - ასე ჰქვია სკულპტურას დუბლინის პარნელის სკვერის ხსოვნის ბაღში, რომელიც 1966 წელს, ირლანდიის დამოუკიდებლობის 50-ე წლისთავზე, აღიმართა ყველა იმ გმირის პატივის მისაგებად, ვინც სიცოცხლე შესწირა ირლანდიის თავისუფლებას.

© ნანა შალამბერიძე.

ISBN - 978-9941-8-0125-9

ნანა ფალავანდიშვილი

მიგრანტები

წიგნი II

თბილისი
2018

– მომაწოდეთ თქვენი პასპორტი, ქალბატონო! – ჩამესმა ძილში და თვალი გავახილე.

– პასპორტი, გთხოვთ! – მომჩერებია ვიღაც ლურჯთვალება, გამაოგნებლად სიმპათიური, ოქროსფერთმიანი ახალგაზრდა ვაჟი.

მექანიკურად ვხსნი ხელჩანთას და პასპორტს მოწიწებით ვაწვდი. თან ვცდილობ, გავიხსენო, სად ვარ და ვის სჭირდება ჩემი პასპორტი.

– გაქვთ რაიმე ბარგი, გარდა ხელჩანთისა? – რიალებენ ლურჯი და კამკამა ცის ფერები ჩემს ირგვლივ.

– დიახ. ავტობუსის საბარგულში.

– ჩამობრძანდით და მაჩვენეთ, რომელია.

ჩავედი. თვალი შევასწარი, მძღოლმა დანანებით, მსუბუქად როგორ დაჰკრა ხელი საჭეს. „საემიგრაციო სამსახური“ – ვკითხულობ წარწერას ავტობუსთან მდგარ ფორდის მარკის ავტომანქანაზე, რომლის კარები თავაზიანად

გამიღო ლურჯთვალებამ. ცხადზე უცხადესი გახდა ჩემთვის, რაც ხდებოდა. ბრაზი მერეოდა საკუთარ თავზე, როგორ შეიძლებოდა, ასე ადვილად დამეჯერებინა ორად გახლეჩილ ქვეყანაში, ერთი ნაწილიდან – ბრიტანეთის მფლობელობაში მყოფიდან, მეორე – დამოუკიდებელ ნაწილში, რომელიც დამოუკიდებლობის 100 წლისთავს ზეიმობს, უვიზოდ გადაადგილების მსგავსი ფორმის რეალობა.

10 წუთში საემიგრაციო განყოფილებას მივადექით. დროის ეს მონაკვეთი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, გამეანალიზებინა, არასწორად დამოძღვრილს და ხაფანგში გაბმულს, როგორმე თავისთვის რომ უნდა მეშველა.

– როგორ აღმოჩნდით დუბლინში მიმავალ ავტობუსში? – დამისვა პირველი შეკითხვა სამუშაო მაგიდასთან მიწვევისა და ოფიციალური წარდგენის შემდეგ.

ცხოვრების ნახევარზე მეტი კარგა ხნის წინ მოვიტოვე უკან. მარტივი ჭეშმარიტება ძვალსა და რბილში მქონდა გამჯდარი: ადამიანი თვითონ ვერ გრძნობს, თორემ სიმართლეს ამბობს თუ ტყუილს, თვალები და სახის ყოველი ნაკვთი ამაზე ნათლად მეტყველებენ. იმის გამოცდილებაც არ მაკლდა, თუკი შენს ოპონენტს სიმართლე აღიზიანებს, უკან დაიხიო და პაწაწინა, უმტკივნეულო, კეთილშობილი ტყუილიც შესთავაზო.

– სახელი და გვარი იცით პასპორტიდან. ამ

დილას გადმოვფრინდი თბილისიდან ლონდონში, შემდეგ – ბელფასტში. მათხოვეთ ხელჩანთა და გაახლებთ დოკუმენტებს. ხელჩანთიდან ვიღებ სამგზავრო ბილეთებს და ვალაგებ მაგიდაზე.

– ესეც სასტუმროს ჯავშანი ბელფასტში, ერთკვირიანი.

– მაგრამ რატომღაც დუბლინში მიმავალი ავტობუსიდან ჩამოგსვით, – ეღიმება მას.

– გეთანხმებით. ეგ არ უნდა გამებედა.

– ?!

– ახლავე აგიხსნით. ბელფასტის აეროპორტიდან ტაქსით მოვედი ცენტრალურ ავტოსადგურში. აქ უნდა შევხვედროდი ერთ პიროვნებას, ვისთვისაც წამლების შეკვრა უნდა გადამეცა. თბილისიდან გამომატანეს. სამწუხაროდ, მთელი საათი დავაგვიანე.

– რატომ არ დაგელოდა?

– არ ვიცი. შეიძლება გადადო შეხვედრა. ყოველ შემთხვევაში მე ამის შესახებ ინფორმაცია არ მქონდა.

ტაქსიდან რომ ჩამოვედი, ჭაჭანება არ იყო. ორი პოლისმენი საუბრობდა ერთმანეთში. იქვე ერთადერთი ავტობუსი იდგა. ყველაზე რეალური იყო, მათგან შემეტყო, როდის უნდა გასულიყო ბოლო რეისი დუბლინის მიმართულებით.

– ეს არის ბოლო, – მივიღე პასუხად.

დავინტერესდი, მოვასწრებდი თუ არა ბილეთის აღებას. მძღოლთან აიღებთო, ამიხსნეს და

მეც ავედი უკვე დაქოქილ ავტობუსში. ეს გაუცნობიერებლად მოხდა. იქნებ დავიჯერე, რომ იქ იჯდა ის, ვისაც უნდა შევხვედროდი. არავინ გამომეცნაურა. შემდეგ დაქანცული, იქვე, თავისუფალ სავარძელში ჩავეშვი. როცა გამომაფხიზლეთ, თქვენს კამკამა ლურჯ, თვალებს შევეფეთე. სულ ეს არის! ისიც არ ვიცი, ახლა სადა ვარ.

– საინტერესოდ მიამბობთ. ახლა დუნდალკში ხართ. ნახევარ საათში დუბლინში იქნებოდით, მე, საძაგელს, ხელი რომ არ შემეშალა.

– არა უშავს. ამაზე არ მწყდება გული. დუბლინს როგორმე სხვა დროს ვნახავ.

– რას აპირებთ?

– დავბრუნდები ბელფასტში და დავბინავდები სასტუმროში. დავრეკავ დუბლინში, შევატყობინებ, რომელ სასტუმროშიც ვიქნები. იქ მომაკითხავენ.

– ეგ დღეს ვერ მოხერხდება.

– რატომ?

– საქალაქთაშორისო ტრანსპორტის განრიგი არ იძლევა ამის საშუალებას.

– რა გაეწყობა.

– ჯორჯია, დედაქალაქი თბილისი. ეს რომელი ჯორჯიაა? – ათვალიერებს პასპორტს...

– ატლანტის არა, მეორე. შავი ზღვის აუზის ქვეყანაა, აღმოსავლეთ ნაპირზე.

შემდეგ კომპიუტერს მიუბრუნდა და დაგუგლა: ჯორჯია.

– ირლანდიასავით პატარა ქვეყანაა, ისიც – ორ ნაწილად გაყოფილი. იქაც არ შეიძლება უვიზოდ ერთი ნაწილიდან მეორეში გადაადგილება. თქვენ ხომ ირლანდიელი ხართ? – ვამოწმებ ჩემს ინტუიციას...

„რა მნიშვნელობა აქვს აღმსარებლობას, სისხლი ხომ ირლანდიურია შენს ძარღვებში?“

– დიახ, – მპასუხობს მექანიკურად და თვალს არ აშორებს მონიტორს.

– 1918-ში მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა. სამ წელიწადში ისევ დაგვაკარგვინეს. ხომ გინახავთ, ბოჩოლას ყელში თოკს რომ ჩააბამენ და ძალდატანებით მიათრევენ? აი, იმდაგვარად. შემდეგ 1989-ში ისევ მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა. ამას აფხაზეთი და სამაჩაბლო შეეწირნენ. ჯერჯერობით ეს მდგომარეობაა, – ვაწვდი შიგადაშიგ იმ ინფორმაციას, რაზედაც, ჩემი ვარაუდით, ყურადღება უნდა გაამახვილოს.

– უნდა დავათვალიერო თქვენი სამგზავრო ჩანთა. იქნებ გაიხსენოთ, რა გიწყვიათ! – მომიბრუნდა ისევ.

შემცბარმა დავიწყე ჩამოთვლა.

– რაღაც არ მოგწონთ, რა ხდება?

– შეკრულ პაკეტში, რომელიც გამომატანეს, არ ვიცი, რა წამლები დევს. არც გამიხსნია. შეცდომა დავუშვი!

– არა უშავს. ერთად დავათვალიეროთ!

შეფუთული ჩანთა გახსნა თუ არა, გადმოცვივდა აუკინძავი, კორექტურით აჭრელებუ-

ლი, ასიოდე თაბახის ფურცელი და გერმანული გაზეთის რამდენიმე ეგზემპლარი.

როცა სადმე მივდივარ, ჩემს არქივს ყოველთვის მოწესრიგებულს ვტოვებ ხოლმე. არავინ იცის, ვის სად, როდის ეწვევა სიკვდილის ანგელოზი და უწერია თუ არა შინ დაბრუნება. არც ამჯერად მიღალატია ამ ჩვევისთვის. უახლესი მასალის ამობეჭდილი, კორექტირებული ასლები დავაბინავე. გასანადგურებლად ვერ გავიმეტე მათი პირვანდელი სახე და მაგიდაზე დავტოვე. ერთ მშვენიერ დღეს უჩემოდაც გაქრებოდნენ. სახლიდან გამოსვლისას, რატომღაც, წამიერად შევბრუნდი ოთახში, ავხვეტე ჩემი ფურცლები, გულზე მივიკარი და ლიფტში შევვარდი.

– დაგრჩა რამე? – მკითხა ზურამ რაც შეიძლება თავაზიანად. მას სასტიკად აღიზიანებს, როცა ოჯახის წევრები ვერ ახერხებენ ჩანთის ჩალაგებას, რაიმე ნივთის დარჩენის გარეშე.

– არ დამრჩა. უბრალოდ, არ მიმქონდა. დამენანა დატოვება და იმიტომ შევბრუნდი.

აეროპორტში, სანამ ჩანთას შევფუთავდით, ჩავჩურთე ეს უჩემოდ გასაქრობად ვერგამეტებული ფურცლები. სწორედ ესენი გადმომიხტნენ ახლა პირველები და თვალი მრავალმნიშვნელოვნად ჩამიკრეს.

„ოჰო, ერთი ამათ უყურე, მოუნდათ თავის მოწონება! თავხედები! თავნებები! როგორ ბედავენ! უშნოები!“

– ესენი ვისია?

– ჩემებია, – კიდევ ერთხელ შევავლე თვალი პაწაწინა მუშტმოღერებულ თაბახის ფურცლებს და არ დაველოდე შემდეგ შეკითხვას. – ეს გახლავთ გამოსაცემად გამზადებული, უნივერსალური საბავშო ლექსიკონი ოთხ: ქართულ, რუსულ, გერმანულ და ინგლისურ ენაზე. მინდა, წიგნის გამოცემამდე, თუნდაც ერთი თვე, ინგლისში დავყო, იქნებ რამე საინტერესო ლექსიკას გადავაწყდე ცოცხალ, საბავშვო მეტყველებაში. საამისოდ მისწრებაა ბავშვებთან სიახლოვეს ყოფნა, თუნდაც სათამაშო მოედნებზე.

– გაზეთები?

– სიჩქარეში უბრალოდ გამოჰყვა ხელს. ისე, ესენიც ჩემი საკუთრებაა.

ბოლო, მეთორმეტე, გვერდით დაინტერესდა. ადვილად მიაგნო ჩემს გვარ-სახელს. შემდეგ ეს ყველაფერი გვერდზე გადადო და დანარჩენი რამეებითაც დაინტერესდა. წამლების შეკვრა არ გაუხსნია, ისე, პირდაპირ, მივიღე შემოთავაზება:

– ამოიღეთ ჩანთიდან პირადი ნივთები და ჩაალაგეთ პარკში. ჩანთა, ხელჩანთა და პასპორტი ჩემთან დატოვეთ! დაგაბინავებთ სასტუმროში და დილას მე პირადად გაგაცილებთ ბელფასტიკენ მიმავალ მატარებლამდე. ახლა იქნებ დაგერეკათ იმასთან, ვისაც უნდა შეხვედროდით? მიკარნახეთ ნომერი! – კვლავ დამიდარაჯდა ის.

ავკრიფე ჩემი ქართველი მასპინძლების მობილურის ნომერი. „ზედმეტი არაფერი წამოგცდეს. ხომ იცი, ყველაფერი იშიფრება. ნურც ბრაზი გახრჩობს ვინმეს მიმართ!“ – თითს ვუქნევ საკუთარ თავს.

– ალო, მე ვარ!

– მერე, რას გვანერვიულებ? სადა ხარ აქამდე? – დაიძრა საყვედურების ნიაღვარი იქიდან.

– ავტობუსიდან ჩამომსვეს, საემიგრაციოში ვარ. მომისმინეთ: ახლა სასტუმროში გადამიყვანენ. ხვალ ბელფასტში დამაბრუნებენ. იქ ერთი კვირა დავრჩები. დაგირეკავთ.

დაზაფრულებმა მობილური გათიშეს.

„ახია თქვენზე. რაღა ჩემზე მოგინდათ ექსპერიმენტის ჩატარება?!“

სასტუმრო იქვეა. არ მინდა ფიქრი. შხაპის შემდეგ ვცდილობ, როგორმე ძილს მივცე თავი. ამდენი ემოციები, გაურკვევლობა და განცდები ამის საშუალებას არ იძლევიან.

როგორც იქნა, ბაცდება ცისკიდური.

„რა იქნება, მეპატრონესთან მივიდე და დარეკვა ვთხოვო. ვითომ ადრეა? მგონი, ახლა ყველაზე ხელსაყრელი დროა!“

ჩავდივარ ქვედა სართულზე. მეპატრონე ღიმილით მეგებება.

– პრობლემაა რამე?

– არა. დარეკვა მინდა შინ, საქართველოში.

– დარეკეთ! ნურაფრის შეგეშინდებათ!

თითები არ მემორჩილება და ვთხოვ მას, თვითონ ამიკრიფოს ნომერი.

– დედა, მე ვარ, არ ინერვიულო, ჩაიწერე მაკას ნომერი და ბელფასტიდან დაურეკე! მოგხედავს. ფრთხილად იყავი, არავის ენდო! ეგ ქვეყანა სტატისტიკით მსოფლიოში მეორე ადგილზეა, სადაც ჩასულები უგზო-უკვლოდ იკარგებიან.

– ნე გეშინია, არ დავიკარგები, – ვპასუხობ მე და ვთიშავ.

შემდეგ ვრეკავ მაკასთან. ბელფასტში რომ ჩახვალთ, დამირეკეთო, მამშვიდებს მაკაც. ვსაუზმობ, მეპატრონეს ვემშვიდობები და საემიგრაციოში საკუთარი ფეხით მივდივარ.

სიწყნარეა. მოსაცდელში მაგიდასთან ვჯდები. მირჩევნია, აქ ვიყო. გადის კიდევ 20 წუთი და კარებს აღებს სასიამოვნო აღნაგობის, რუსი ეროვნების ყმაწვილქალობას გადაცილებული ქალბატონი. მას ფეხდაფეხ მოჰყვება ამავე ეროვნების, კარგად ნავარჯიშევი, კუნთმაგარი სპორტსმენი. ორივენი ჩემს მაგიდასთან სხდებიან.

– ვის ელოდებით? – ვერ ითმენს ქალი.

– საემიგრაციო სამსახურის პოლისმენს.

– რა გვარია?

– არ ვიცი, არ დავინტერესებულვარ.

– საიდანა ხარ?

– საქართველოდან.

– ჩვენებური ყოფილხარ. ვალერა, ეს ქალბა-

ტონი ჩვენებურია, საბჭოთა! ალბათ, გზაში შეფერხდი. არა უშავს. წამოდი ჩვენთან, დაგასვენებთ, გასაუზმებთ და გაგამგზვრებთ, სადაც მოისურვებ. ფული თუ გაქვს გადასაადგილებელი?

– არა ვარ საბჭოთა! ქართველი ვარ. – თვალს თვალში ვუყრი წინა საუკუნეში ჩარჩენილს.

– როგორ ფიქრობ, ფული რომ მქონოდა, ამ დილას აქ ვიქნებოდი? – ვცდილობ დავფარო გაღიზიანება.

– არა უშავს, მაინც წაგიყვანთ და დაგეხმარებით.

– არა, ნუ წუხდებით, მე ბელფასტში ვბრუნდები უკვე.

ამ დროს კარები იღება და შემოდის ფორმიანი, გოლიათი პოლისმენი.

რუსი ქალბატონი ძალიან შინაურულად ესალმება მას და სთხოვს დახმარებას, როგორმე დამრთოს ნება, მათთან ერთად წავიდე.

– რა ხდება? – ახლა ჩემკენ მოდის გოლიათი.

– არაფერი, თქვენს კოლეგას ველოდები. არსად არ ვაპირებ წასვლას.

ქალი სუნთქვის საშუალებას არ აძლევს პოლისმენს, თან თვალებს ჩემკენ აპარებს.

– არა, ასე არ შემიძლია. უნდა გავიგო, ვისთანაა, – არწმუნებს პოლისმენი ქალს და შედის ოთახში.

ზუსტად ორ წუთში, გუშინდელი პოლისმენი აღელვებული გამოდის ოთახიდან. გვერდით

გოლიათი მოსდევს, რომ დააოკოს.

– ვინ მელოდება?

– მე, – მორჩილად ვდგები სკამიდან.

– ჩვენ ხომ 9-ზე შევთანხმდით?

– თქვენ აქ რა გინდათ? რამდენჯერ უნდა გაგაძევოთ აქედან? – ცოფავს პოლისმენი რუსი ეროვნების შეხმატკბილებულ წყვილს და ლამის პანჩურის კვრით ატოვებინებს შენობას.

– თქვენ ჩემთან წამობრძანდით, იქ დამელოდეთ, ვიდრე მუშაობას მოვრჩები!

საბელჩაუბმელ ბოჩოლასავით, კუნტრუშით, მივდევ.

„ასე ყოფილა ოდითგან. თუ ოდესმე სადმე ცხოვრების შესამსუბუქებლად, ხალხისთვის ცოტაოდენ სულის მოსათქმელად, რაიმე სასიკეთო ამოქმედებულა, იქვე პარალელურად ბნელი ძალები კაცთკვლის პროგრამის ამუშავებას არ აყოვნებენ თურმე“.

კიდევ ნახევარი საათი და რკინიგზის სადგურში ვართ. გავდივართ ბაქანზე. ხუთ წუთში გადის მატარებელი ბელფასტისკენ.

– ახლა დაგემშვიდობებით. დუბლინის მიმართულებით მოპირდაპირე ბაქნიდან გადის მატარებელი. თქვენ ახლა ბელფასტის მიმართულებით დგახართ. იმედს ვიტოვებ, არ შეგეშლებათ.

– ყველაფრისთვის მადლობას მინდა გადაგიხადოთ. ბოდიშსაც გიხდით.

– ბოდიშს რისთვის?

– ყველა ნიუანსისთვის. მაგრამ მე მართლა ბელფასტში ვბრუნდები.

„ხომ არ გჯერა, რომ ეს ნამდვილად ასეა? ცდილობ, გზიდან ჩამომეცალო და მე კიდევ ჩემს გზას ვეწიო. თანაც გინდა, მიმანიშნო, უსაფრთხოდ ხარ და დუბლინში წადიო. მეორედ მაძლევ შანსს. გუშინ საღამოს რომ სასტუმროში დამაბინავე, მაშინაც ხომ შენებურად გათვალე, აქედან აიკრავს გუდა-ნაბადსო? კარგი კაცი ხარ, ალღოც შეუმცდარი გაქვს. ნამდვილად არა ვარ კრიმინალი ან ტერორისტი, მაგრამ რა ვქნა, მე ასე არ შემიძლია. გავიპარო? გავიქცე? რატომ?“

დავემშვიდობეთ ერთმანეთს. მთელი გზა მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, როგორი უცნაური ბედისწერა მაქვს. ეს, რა თქმა უნდა, ამ კონკრეტულ შემთხვევას არ ეხება.

ისე, ზოგადად: უბრალოდ გამწირავენ ხოლმე ადამიანები, არაფრის გულისთვის, შემდეგ მეთამაშებიან ყოველგვარი წესების გარეშე. ამას ისე მივეჩვიე, რომ არ მაღიზიანებს. შემიძლია, მშვიდად ვუყურო, როგორ ირგებენ წმინდანის ნიღაბს და ყოველ ფეხის ნაბიჯზე მხოლოდ იმას უსვამენ ხაზს, როგორი კეთილები და სათნონი არიან. მაგალითების მოშველიებასაც არ თაკილობენ თავიანთი უბადრუკი ცხოვრებიდან. ნეტავი მართლა თუ სჯერათ ჩემი მიამიტობა? {თუ „მიუხვედრელობა?“} ღმერთო, რა საცოდავები არიან, როგორ სასაცილო მდგო-

მარეობაში იგდებენ თავს! ამ დროს აზარტში შევდივარ ხოლმე, თვალებში ვუყურებ ჩემი „გულუბრყვილობით“ დაბნეულთ და წაქეზებულთ და დგება ორპირობის, სიცრუის, უსირცხვილობის და სისაძაგლის თავბრუდამხვევი კორიანტელი.

უმტკივნეულო ჩანართს – „ფრთხილად, არაფერს წამოედო-მეთქი!“ – იშვიათად თუ შეუჩერებია ვინმე. გული მწყდება, ჩემს პირად, ლიტერატურული პერსონაჟების გალერეაში ასეთი სახეები რომ მრავლადაა...

ჩავედი თუ არა ბელფასტში, მაშინვე დავრეკე მაკასთან და ნახევარ საათში უკვე დუბლინისკენ მიმავალ ავტობანზე მიქროდა ჩემი მძღოლი.

დიდი საყვარელი ვინმე იყო 10 თვის კალომი. დათვის ბელივით მრგვალი. ბელებიც ასეთივე საყვარლები არიან, ალბათ. კეთილები და ბურდღუნები. რა ცუდია, რომ ვერ ლაპარაკობენ. კალომიც ვერ ლაპარაკობდა. თამაში რომ მობეზრდებოდა, მოჰყვებოდა ბურდღუნს და თვალებში მომაჩერდებოდა ხოლმე.

– რაო, რა გინდა, ბიჭუნი? – ხელში ავიტაცებდი პატარას.

კალომს აუციმციმდებოდა თვალები, პაწაწინა ხელებს სახეზე მომითათუნებდა და თვალებს არ მაშორებდა.

– ვიცი, რაც გინდა! მართალი ხარ, დროა, ნახატებიანი წიგნი დავათვალიეროთ! – იქვე, სათმაშოების ოთახში მდგარ ტახტზე, დავსვამდი კალომს და წიგნს მივაწვდიდი. კალომი მონდომებით ფურცლავდა წიგნს, საჩვენებელ თითს გაადევნებდა ნახატებს და იწყებოდა ჩვენი გა-

კვეთილები ქართულ-ინგლისურ ენაზე:

სპილო , მაიმუნი, იხვის ჭუჭული, წიწილა ...

ქართულ სიტყვებს პირველად ყური რომ მოჰკრა იფამ, კალომის ერთ-ერთმა, რიგით მეოთხე დაიკომ, რომელიც იქვე, თავისთვის საქმიანი იერით ერთობოდა, თამაშს თავი დაანება და საჭიროდ ჩათვალა საქმეში ჩარევა.

– ეს არ არის ინგლისური ენა! – დააბაკუნა პატარა ფეხები პროტესტის ნიშნად.

– ვიცი, ქართულია! ლამაზი და უძველესი ენა. თუ გინდა, შენც გასწავლი. შენ უკვე სამი წლის ხარ, უფრო სწრაფად ისწავლი!

– არ მინდა! კალომსაც არ უნდა! – კვლავ აბაკუნდნენ ფეხები.

– იქნებ კალომს უნდა! პატარას ნუ ჩაგრავ, გთხოვ!

იფა გაჩუმდა, შემდეგ უხმოდ გავიდა ოთახიდან.

დედამისი, კატლინი რომ დაბრუნდა, იფამ ერთი შემომიბღვირა, მერე დედას ჩაუსკუპდა კალთაში და საქმიანი ტუტუნი გაუბა, თანაც შიგადაშიგ ჩემკენ აპარებდა თვალებს.

– არა, არა ხარ მართალი. შენც ისწავლე ქართული ენა, თუ სურვილი გაქვს. გაიქეცი და ბოდიში მოუხადე! –არ მოუწონა საქციელი კატლინმა.

იფა გაოცდა. რაღაც ვერ გაიგო, მაგრამ დედამ ხომ უკეთ იცის! გაბადრული გამორბის ჩემკენ:

– Sorry! love you ! – უბრჭყვიალებს თვალები და მეხუტება.

ყოველთვის თვალწინ მიდგას ჩემი პირველი შეხვედრა იფასთან.

ბავშვების მოვლა ანუ ბებისიტერობა, ეს შრომატევადი, მაგრამ კეთილშობილური სამუშაო პირველი იყო ჩემთვის, დუბლინში ჩასულს რომ დამახვედრა ჩემი დის, დიანას მეგობარმა – მარინა ნანუაშვილმა. ბუნებრივია ვღელავდი, მაგრამ არ ვიმჩნევდი მარინასთან.

კატლინს 6 შვილი ჰყავდა მაშინ. მე 3 წლის იფასა და 10 თვის კალომისთვის უნდა მიმეხედა 8.00-დან 12.00-მდე, მანამ, სანამ კატლინი პირველ 4 შვილს სკოლაში წაასხამდა, გაკვეთილების შემდეგ მათ, მიდრეკილების მიხედვით, სხვადასხვა წრეებში ჩამოარიგებდა და სახლში მობრუნდებოდა.

ადრე მივედი. პირველი ოთხი: ორი ბიჭი და ორი გოგონა მზად იყვნენ წასასვლელად. კალომს შუშა ეჭირა ხელში და ხარბად სვლეპდა რძეს. მეექვსე, ანუ იფა, არსად ჩანდა.

– სძინავს იფას. თქვენ თვითონ გაეცანით ერთმანეთს! – სწრაფად მომაგება კატლინმა და ხუთეული ოთახიდან გავიდა.

– დედა! – გაისმა იფას ძახილი ნახევარი საათის შემდეგ ზემოდან.

– დედა მალე მოვა, იფა. მანამ ერთად ვითამაშოთ მე და შენ, – მივეალერსე ბავშვს და ავუყევი კიბეებს.

– შენ ვინა ხარ? – მტრულად შემომხედა ხასიათწამხდარმა იფამ.

– დედიკო სანამ მოვა, მე ვიქნები შენთან და კალომთან.

– არ მინდა. არ მინდა, ჩადი! მე აქ ვიქნები, არ ჩამოვალ.

– ჩაცმაში არ მოგეხმარო, იფა?

– არა! არ ჩავიცვამ! ბარბი უნდა ვაბანაო აბაზანაში, – ნიშნისმოგებით მომანათა თავისი გაურკვეველი ფერის, რუხ – თაფლისფერი თვალები იფამ.

– კარგი, როგორც გინდა. ეს, ალბათ, აუცილებელია. მე კალომთან ვიქნები. როცა დაგჭირდები, დამიძახე და ამოვალ,

– რომ არ ვიცი წყლის მოშვება?

– მე მოვუშვებ. წამო აბაზანაში!

წინ გავუძეხი და წყალი მოვუშვი. იდგა და თვალებგაფართოებული, გაკვირვებული მათვალიერებდა იფა.

– აბა შენ იცი. დაბანე, გაამშრალე, ჩააცვი და ჩამოიყვანე ქვემოთ შენი ბარბი! მერე, თუ გინდა, ერთად ვასეირნოთ ეზოში.

თავზე მეგობრულად გადავუსვი ხელი და კიბეზე დავეშვი.

– ჩაცმაში მომეხმარე, გთხოვ! – ძალიან მალე გაისმა იფას ხმა.

რომ ავედი, იფა ისევ ისე იდგა გაუნძრევლად და დაუბანელი ბარბი გულზე მიეკრა.

– უკვე დაბანე?

– არა. არ უნდა!

არ ვიცი, რითი დავიმსახურე იფას ნდობა, მა-

გრამ გვერდიდან არ მომშორებია მთელი დღე.

მეორე დილას ისევ გამიძალიანდა, მხოლოდ – სხვა ფორმით. შენ ნუ გამიმზადებ საუზმეს. მე თვითონ მოვიფიქრებ რამესო. გამოალაგა სამზარეულოს კარადიდან ყველანაირი ინგრედიენტი: ბრინჯი, სპაგეტი, წიწიბურა. თუნუქის ქილებში ბარდა, ცერცვი, მწვანე ლობიო. კარგა ხანს ათვალიერა თითოეული, მაგრამ საჭმელად ვერ მოირგო ვერც ერთი და უმწეოდ ქვეშ-ქვეშ ამომხედა.

– იფა, მანდ, მგონი, თაფლია ქილით. შენ პუჰივით საყვარელი ხარ, თაფლი გეყვარება. გინდა, ერთი კოვზი მოგასვლეპინო? რძე და რაიპსკრიპსები მერე დავაყოლოთ.

– მინდა, მინდა, თაფლი მინდა! – მოეწონა პუჰობა იფას და მოქანდა ჩემთან.

კარგა ხანს გაჰყვა მსგავსი კაპრიზები. საბოლოოდ დამნებდა. მხოლოდ ეგ იყო, მართალია, წიგნებს ჩვენთან ერთად ათვალიერებდა, მაგრამ კომენტარებში არ ერეოდა. მას ქართული არ უნდოდა. მორჩა! აზრს ვერ შეაცვლევინებდი.

პროტესტის გარეშე მხოლოდ ერთ რამეში დაჰყვა ჩემს ნებას. ეს გახლდათ კალომის დაძინების პროცედურა.

– კალომის ძილის დროა. თუ გინდა, შენ კალომი დააძინე, მე კიდევ შენს თოჯინას მივხედავ. ან: მე – კალომი, შენ – თოჯინა. რომელი გირჩევნია? თან „იავნანას“ ვუმღერებ. ესენი

რომ დაიძინებენ, მარტო შენი ვიქნები და ბევრს გეთამაშები.

სწრაფად დაავლო ხელი თავის თოჯინას, გულზე მიიკრა და თვალებში ცნობისმოყვარედ მომაჩერდა, თითქოს მეკითხებოდა, რაო, რაო, რას უმღერებ ამათო?

კალომი გულში ჩავიკარი და იფას მივუჯექი. ორ წუთში ჩაეძინა კალომს და გავჩუმდი.

– დამთავრდა? – დაიჩურჩულა იფამ.

– არა, მაგრამ „იავნანა“, ბავშვებს რომ ჩაეძინებათ, მერე არ შეიძლება.

– ხვალ?

– კი. საერთოდ, ყოველი ძილის დროს შეიძლება.

ახალი სიმღერით და აღმოჩენით განებივრებულ იფას თვალები გაუბრწყინდა.

– საწოლში ჩავაწვინოთ ბავშვები! – დაიჩურჩულა ისევ.

ძალიან ფრთხილად ავიარეთ კიბეები და ეს საქმეც მოვილიეთ. შემდეგ იფამ ჩამავლო ხელი და ფეხაკრეფით ჩამოვედით ქვედა სართულზე. გამაქანა სათამაშოების ოთახისკენ, დამსვა ტახტზე, ჩამისკუპდა კალთაში, ჩამეკრა გულში და ისევ დაიჩურჩულა:

– ახლა მარტო მე მიმღერე, მეძინება!

– გატყობ, შენ დღეს ბევრჯერ აპირებ დაძინებას! – მივეალერსე პატარას.

იფას მელაკუდასავით ჩაეცინა და თვალები მაგრად დახუჭა.

– თქვენ, ქართველებს, ბელადი გყავთ თუ მეფე? – მკითხა ერთხელ ნენსიმ ჩვეულებრივი „ჩაის სმის“ რიტუალის დროს.

– მეფე გვყავდა, – ვუპასუხე მე და ვიგრძენი, შეუმჩნევლად გამეღიმა.

ძნელი მისახვედრი არ იყო, როგორი უცხო იყო ნენსისთვის ქართული სივრცე.

– მე ვიცი Georgia ამერიკის შეერთებულ შტატებში, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე Georgia-ს შესახებ შენამდე არაფერი მსმენია.

– არ მიკვირს. ჩვენმა „დიდმა ძმამ“, რუსეთმა, მსოფლიო ცნობიერებიდან ლამის გააქრო საქართველო.

ერთხელ, დიდი ხნის წინ, დიუსელდორფში, ერთ ოჯახში სტუმრობისას, მასპინძლის ერთმა შვილიშვილმა, თორმეტი წლის ჰენრიხმა, სრული სერიოზულობით მკითხა, საქართველო რომელ პლანეტაზეაო. მაშინ ანიმაციური ფილმი

მოვიშველიე არგონავტებზე, რის შემდგომაც თვალებგაბრწყინებული ბიჭუნა მთელი საღამო გვერდიდან არ მომშორებია.

დრეზდენში, გერმანული ენის სწავლების მეთოდიკაში საერთაშორისო თრენინგების შემდეგ, საქართველოზე საუბრისას, სლავმა ქემალმა არანაკლები სერიოზულობით, ვითომ ხუმრობით იკითხა, რომ ჩამოვიდე თქვენთან, „იმ პლანეტაზე“, რამდენი ხანი მომიწევს დარჩენა, რა დრო სჭირდება კოლხი ასულის გულის მონადირებასო. რაინდზეა დამოკიდებული, სხვა მხრივ არანაირი მზა რეცეპტები არ არსებობს-მეთქი, ვუპასუხე და ვიგრძენი, სიყვარულისა და ერთგულების როგორი დეფიციტი იყო შუაგულ ევროპაში.

ანტიკური ლიტერატურის ფურცლებიდან ძალიან ადვილად მიმყავს ხოლმე ბილიკები კოლხეთისკენ, ჩვენი ქვეყნის შუაგულისკენ. ეს საკუთრივ ჩემი პირადი გამოცდილებაა, მრავალჯერ ნაცადი ხერხი. ამჯერად ვცადე კიდევ უფრო შორიდან მომევლო.

– გახსოვთ, ნენსი, ინგლისელმა მოგზაურმა, მეცნიერმა და მწერალმა ტიმ სევერინმა 1976-1977 წლებში ირლანდიელი წმინდანის, ბრენდან კლონტარფელის, გზა რომ გაიარა? currach-ით, მაშინდელი ირლანდიური პატარა ნავით, ატლანტიკის ოკეანე გადაკვეთა, 4 500 მილი (7 200 კმ) და ამით ცხდჰყო, რომ სავსებით შესაძლებელი და რეალური იყო ლეგენდა

წმინდა ბრენდანის შესახებ, რომ ის პირველი იყო, ვინც ქრისტოფორ კოლუმბამდე, თავისი პატარა ნავით 7 წლიანი მოგზაურობის შემდეგ ამერიკის სანაპიროს მიადგა.

– როგორ არ მახსოვს. მისი ექსპედიციის ანგარიში – „ბრენდანის ვოიაჟი“ – საერთაშორისო ბესტსელერი გახდა და 16 ენაზე ითარგმნა. ის ნავი, სევერინისეული, ირლანდიაში, კლერის საგრაფოში, Craggaunowen-ის მუზეუმშია ახლა.

– შემდგომ წლებში თუ მიაქციეთ ყურადღება, სევერინისა და მისი ეკიპაჟის ექსპედიციას? არგონავტებით დაინტერესებულმა რომ ააგო ხომალდი „არგო“ და 1984 წელს, 20 მოხალისე მენიჩბესთან ერთად, ამ ნიჩბიანი ნავით ჩრდილოეთ საბერძნეთიდან აიღო კურსი. ექსპედიციის მიზანი იყო, დაემტკიცებინა, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-13 საუკუნეში, ბერძნებს შეეძლოთ მიეღწიათ კოლხეთამდე, სადაც მათ მაღალგანვითარებული სახელმწიფო დახვდათ.

დარდანელის სრუტის გავლით მათ გადაკვეთეს მარმარილოს ზღვა, ბოსფორის სრუტით შევიდნენ პონტოს ზღვაში (ახლანდელი – შავი ზღვა), განვლეს 1500 მილი, ანუ 2 400 კილომეტრი და მიადგნენ ფაზისს (ამჟამად – ფოთი). შემდეგ დაუყვნენ მდინარე ფაზისს (დღევანდელი – რიონი) და გზას დაადგნენ ჩვენი ქვეყნის შუაგულისკენ, კოლხეთისკენ. მოინახულეს „ოქროს ქვეყნად“ წოდებული კოლხეთის მეფის,

მზის ძე აიეტის, სამბრძანებლო, სატახტო ქალაქი ქუთაია (ქუთაისი), ვანის არქეოლოგიური გათხრები და ჩავიდნენ ნაქალაქევში, ეგრისის სამეფოს დედაქალაქში ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-4 საუკუნეში. არც სვანეთში ასვლას შეუშინდნენ, სადაც სვანეთის გზა ახლანდელივით კომფორტული ნამდვილად არ იყო.

ეს ის ადგილებია, სადაც ოქროს საწმისის საშუალებით ხდებოდა ოქროს მოპოვება ჩვენს მდინარეებში. ძნელი სათქმელია, იასონს რამ უფრო დაუბინდა გონება: მედეას, აიეტის ასულის, შარმმა, მისმა გრძნეულებამ თუ ოქროს მოპოვების ტექნოლოგიამ, მაგრამ ერთი რამ უდავოა, მითად ქცეული ეს სინამდვილე, თავისი კოლხი ასულით, ოქროს საწმისით, არგოთი, მედეას ერთგულებითა და შურისძიებით, 34 საუკუნეა აღელვებს კაცობრიობას.

– როგორ ფიქრობ, დავიჯეროთ, რომ მედეამ გაწირა თავისი შვილები? – თემა შეცვალა ნენსიმ.

– არა, რა თქმა უნდა. სასახლის ეს კლასიკური ინტრიგა დიდი ბერძენი მწერალი-ტრაგიკოსის, ქალთმოძულე ევრიპიდეს, ახლებური ვერსიაა, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნეში შექმნა. ევრიპიდეს საუკუნეს მთელი 1000 წელი აშორებს მედეასა და იასონის ტრაგედიას.

სასტიკ სიყვარულს ულმობელი შურისძიება დაუპირისპირა ევრიპიდემ. და ამაში მან, ისტო-

რიულ წყაროებს თუ მოვიშველიებთ, დიდი ფული (75 000 მანეთი ოქრო) აიღო კორინთელებისგან, რომ მათთვის ტაძარში, საკურთხევლის წინაშე, ბავშთმკვლელობის სამარცხვინო, სისხლიანი ლაქა ჩამოერეცხა. ისე, მიკვირს, როგორ არ ეცოტავა?! აღებ-მიცემობა, კაცობრიობის არსებობის ორივე წელთაღრიცხვის მანძილზე, მნიშვნელოვან ისტორიულ მომენტებსაც კი ცვლიდა ამ ცოდვილ მიწაზე.

აი, ის ქვეყანაა ჩემი ჯორჯია, ნენსი. ნაქალაქევი კი – ჩემი სოფელია, სადაც დავიბადე და გავიზარდე. როცა დაინტერესდები, ფოტოსურათებსა და ვიდეოებს დაგათვალიერებინებ იუთუბში.

ერთადერთი ირლანდიელი გახლდათ ჩვენი უბნელი მაიკლი, ჩვენთან სტუმრად მოსული რომ გამაცნეს და უთხრეს თუ არა, საქართველოდან არისო, უცებ მომაგება კითხვა, სტალინის და შევარდნაძის ქვეყნიდანო?

– ერთი ამას უყურე! ეს ხომ ყველაფერში ერკვევა! – იხუმრა ნენსიმ.

მაიკლი ასე 72 წლამდე ასაკის ირლანდიელი გახლდათ, რომელსაც ჰქონდა სახლი, სოციალური დახმარება, ალბათ პენსიაც, მაგრამ არავინ ჰყავდა: არც – შვილი, არც – ძირი. მთელი ცხოვრება თავისი შრომით გაჰქონდა თავი, მაგრამ ახლა, თავისი სოლიდური ასაკის გამო, თუ ფინანსურად გაუჭირდებოდა, ჩამოივლიდა ნაცნობ ოჯახებს, უმეტესწილად სადღესასწა-

ულო დღეებში და შესთავაზებდა, ფანჯრებს გარეთა მხრიდან გაგისუფთავებთო ან ბაღს მოგიწესრიგებთო. მოწყალებას არ ითხოვდა. ეს მისი დამატებითი შემოსავალი იყო.

მაიკლი განათლებული პიროვნება აღმოჩნდა. ნენსიმ მოიწვია ფინჯან ჩაიზე და მოხსნა მაიკლმა გუდას პირი. საქართველო როგორ არ ვიცი, ნენსი, ჩვენსავით პატარა ქვეყანაა, უძველესი, საინტერესო ისტორიით, კულტურით და ხალხითო. კლავდნენ, კლავდნენ და ვერ კლავდნენო. ხან ვინ და ხან ვინ წაჰგლეჯდა მიწასო. ის კი არა, თურმე, ძველად, ბრძოლის უმძიმეს, გადამწყვეტ მომენტებში, როცა მოსისხლე მტერი უკვე ლამის გამარჯვებას ზეიმობდა, დაეშვებოდაო წმინდა გიორგი, ხმალშემართული, მტრის ლაშქარში. განრისხებული ააბრიალებდაო თავის ცეცხლოვან თვალებს და ხმლის თითო შემოქნევაზე ერთბაშად მტრის ასობით მეომარს წააწვენდაო. თავზარდაცემული, სახტად დარჩენილი მეომრები გონებასა და თავს ერთბაშად კარგავდნენო. წმინდა გიორგის დანახვაზე ქართველი მეომრები, იმედ და ძალამოცემულნი, ჯაბნიდნენო მათზე რიცხობრივად ასგზის მეტი რაოდენობის მოწინააღმდეგეს. ამბის წამღები არ რჩებოდაო, თორემ ხელმეორედ ხომ არ აღმართავდნენო ხელს საქართველოზე.

– ის თუ იცი, მაიკლ, როგორ ზეიმობდნენ გამარჯვებული ქართველი მეომრები მტრის

ურიცხვი ლეგიონების დამარცხებას? – ჩავუსაფრდი მე.

– ალბათ, დაახლოებით ასე: გაუმარჯოს წმინდა გიორგის! უძლეველ ჰყოს უკუნითი უკუნისამდე! ამინ!

– მართალი ხარ, მაიკლ. ამის პასუხად კი, თურმე წმინდა გიორგი თავის ცეცხლისმფრქველ თვალებს მოავლებდა თითოეულ მეომარს, ჯვარს გადასახავდა, თვალები აუციმციმდებოდა და შეჰღიმებდა. სულ თქვენთან ვარო, დაიქუხებდა და ხმალაღმართული გაუჩინარდებოდა.

ამის შემდგომ კვლავ სუნთქვავდა გაპარტახებული ქვეყანა, იკრებდა ძალას და ახერხებდა აღორძინებას. ასე გრძელდებოდა საუკუნეების მანძილზე. მართლაც, ღვთის ხელი ურევია ჩვენს არსებობაში.

– ძალიან ლამაზი, მაგრამ ამბიციური გამოვიდა თქვენი ერთობლივი ლეგენდა! – ღიმილი ვერ შეიკავა ნენსიმ.

– საქართველო ღვთსმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, ნენსი, ნუ გიკვირს ზეციური ძალების შემწეობის! – ისევ ნენსის მიუბრუნდა მაიკლი. საქართველოს მეფეები, მართლაც, უბადლო მხედართმთავრები და სტრატეგები იყვნენ, ჰყავდათ კარგად გაწვრთნილი, თავდადებული, უმამაცესი მეომრები, ამოქმედებდათ კეთილშობილური გრძნობა, გაეთავისუფლებინათ სამშობლო დამპყრობლებისგან, დაებრუნებინათ

და შემოემტკიცებინათ მიტაცებული ტერიტორიები, გადაერჩინათ ერი გამაჰმადიანებისგან, გაეხანგრძლივებინათ მშვიდობიანი პერიოდი სულის მოსათქმელად და საომარი ძალების გასაძლიერებლად, ხელი მიეყოთ გაუდაბნოებული და გავერანებული ქვეყნის აღმშენებლობისთვის. კი, ბატონო, საძულველი მტრისადმი შურისძიების გრძნობა თვალსისხლიან ლომებად აქცევდათ და თავი არ ეზოგებოდათ ნაოცნებარი მშვიდობიანობის მისაღწევად, მაგრამ ხანგრძლივი სისხლიანი წვიმების გადაკარება, სპარსელებისა და ირანელების ურიცხვი ლეგიონების გამკლავება და დამარცხება ერთი მუჭა ქართული მხედრობით, სავარაუდოდ, სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა.

– ადრე, სხვა დროს, არასდროს გიხსენებია ჩემთან ჯორჯია, მაიკლ. რატომ?

– ყოველთვის მაინტერესებდა ეს ქვეყანა. სხვადასხვა წყაროებში ვეძებდი, მიმეკვლია მასალებისთვის და ამომეცნო, როგორ ხდებოდა, რომ ასეთი პატარა ქვეყანა უთანასწორო ბრძოლებში სძლევდა მოწინააღმდეგეს საუკუნეების მანძილზე. მიუხედავად ღალატიანი გარიგებებისა, ციხე-ქალაქები, უმეტეს შემთხვევაში, არ ნებდებოდა მტერს და სიცოცხლე გრძელდებოდა. ახლა, შენთან, უბრალოდ ქართველის გაცნობამ წამოჭრა ამ საკითხზე საუბარი, ნენსი.

– და ეს ქართველი, თუ დავკონკრეტდები,

კოლხია. კოლხთა ქვეყნის ფურცლებს თუ მისწვდი, მაიკლ? ეგრისი, ციხე-გოჯი, არქეოპოლისი.....

– გუბაზ მეფის პერიოდს ვეცნობი ახლა, მეექვსე საუკუნეს.

– ბევრი ლამაზი ფურცელი გელოდება. მაგრამ ღალატიანებიც უხვადაა.

– ეგ ხომ ყველგანაა!

– გეთანხმები. ყველაგანაა და ყოველთვის, ყოველ დროს: ამაღლებულს, დიადს, ზღაპრულს, ღალატი ეკალივით მწარედ ესობა ხოლმე.

ცოტა ხანში კვლავ გვესტუმრა მაიკლი. ჩვეულებისამებრ კეთილად შემომღიმა და ყოველგვარი შესავლის გარეშე მკითხა:

– ახლა რა ხდება? მიამბე! ვერ მოვესწრები ამის ამოკითხვას ისტორიულ წყაროებში.

– გეთანხმები, ჩვენ ამის საშუალება არ გვექნება. ამას მომდევნო თაობები განსჯიან, შემდგომ საუკუნეებში, როცა არსებული რეალობა ისტორიის საკუთრება გახდება.

ქვეყნებს, ისევე როგორც თვითოეულ ჩვენგანს, თავისი ბედისწერა ჰქონია თურმე მაიკლ. შენ ასე თუ ისე იცნობ ჩემი ქვეყნის ისტორიას. ევროპისა და აზიის გზის გასაყარზე მდებარე, ჩემი ქვეყანა ანდამატივით იზიდავდა დიდ და მცირე დამპყრობლებს. მტერი თითქმის ყოველთვის ჭკვიანი, ძლიერი და დაუნდობელი იყო. იტაცებდა მიწებს, მაგრამ საბედნიეროდ,

ვერ ახერხებდა ქართველის გონებისა და სულის დაპყრობას. ისევ და ისევ თავისუფალი, დამცირებას ვერშეგუებული რჩებოდა ქართველი ერი და შეჭირვებულად, მაგრამ ღირსება შენარჩუნებული განაგრძობდა არსებობას.

არასახარბიელოა ამჟამინდელი სინამდვილე. ადრე მტერი ხმალშემართული მოიწევდა ჩვენკენ და დამარცხების შემთხვევაში უკანმოუხედავად გარბოდა. გამარჯვებული მტერი ყველანაირი ხერხით ცდილობდა ტყვედ აყვანილი ჩვენი ერისკაცებისა და გმირების სულიერად შერყვნას. რას არ სთავაზობდნენ ქრისტიანობის დაგმობისა და მაჰმადიანობის მიღების სანაცვლოდ: ოქრო-ვერცხლს, მმართველის პოსტს, მუდმივად მათ გვერდში დგომას საომარ მოქმედებებში. სასტიკი იყო უარით გაწბილებული მტერი: აწამებდა, თავს ჰკვეთდა, რომ იტყვიან ოთხში ამოჰყავდა დაუმორჩილებელნი. მაგრამ ამით მთავრდებოდა მათი შურისძიება.

უმოწყალო და შემზარავია ახლანდელი ცივი ომი წესების გარეშე. გსმენია ადრე მცოცავი ანექსიის შესახებ? მტერი გვტაცებს მიწას და ურცხვად გვედავება, „ადრე“ ეს მიწები მე მეკუთვნოდაო. გაუგონარი თვალთმაქცობით გაყვლეფილი ქვეყნის ეკონომიკით ცდილობს უკიდურესად დააბეჩაოს ხალხი და შეაგუოს შექმნილ მდგომარეობას. ერი ხომ მაშინ იღუპება, როდესაც ეგუება და ურიგდება თავის ხვედრს?

– ნუ მაშინებ. შენ უკვე ხელი ჩაიქნიე?

– არა. ბოლო სიტყვა უფლისაა, იტყვიან ხოლმე ჩვენში. მე ვერ დავიჯერებ საქართველოს „გარდაცვალებას!“

კარგა ხანს იჯდა ფიქრებში წასული მაიკლი ჩვენთან, ხმას არ იღებდა. შემდეგ მწარე ღიმილით, მაინც ვერ მოითმინა და კიდევ ერთ შეკითხვაზე მთხოვა პასუხის გაცემა, შეულამაზებლად.

– ქვეყნის დიდი შვილებზე რას მეტყვი?! ნუთუ არაფერი იღონეს?

– ეტყობა რთულია და მძიმე სხვის სამსახურში ყოფნა! თუნდაც პირველკაცობა სხვის ქვეყანაში!

– თქვენი სახელმწიფო ენა, ალბათ, რუსულია, ხომ? – დაინტერესდა ნენსი.

– არა, ნენსი, რუსული ენა დიდი რუსი ერის მშობლიური ენაა. ჩვენ ქართველებს ჩვენი ენა გვაქვს, უძველესი – ქართული ენა. ამ ენაზე მხოლოდ ჩვენ, ქართველები, ვლაპარაკობთ. დამწერლობაც ჩვენი გვაქვს! მსოფლიოში არსებული 14 ანბანიდან ერთ-ერთი ჩვენი ანბანია, უძველესი. არა ერთი ცნობილი პოეტის მუზაა ჩვენი ენა – ქართული, არა ერთი ულამაზესი ლექსი უძღვნეს მას, მის სიყვარულსა და უკვდავებას. გამოვყოფ ლადო ასათიანს, რომელიც 25 წლის ასაკში დაიღუპა და მანამ მოასწრო მშობლიური ენისთვის ლექსით აეხსნა სიყვარული. ეს ლექსი თავისი ორიგინალობისა და სიღრმის

წყალობით მანამ იცოცხლებს, სანამ საქართველო იარსებებს!

არ გაინტერესებთ, როგორ ჟღერს? – ფარულად შევაპარე ლექსის წაკითხვის იდეა მათ. არც ერთს არ გამოპარვია ჩემი განწყობა იმ მომენტში. ლადოს ამ უკვდავი ჰიმნის ბოლო სტრიქონები [საქართველოს მთებში გაგაჩინა ღმერთმა, ხმათა ხავერდების და ღმერთების ენავ!] რომ ამოვთქვი, ფეხზე წამოდგა ჩემი თვალებაციმციმებული აუდიტორია: ნენსი და მაიკლი. ერთმანეთს არ აცლიდნენ ეპითეტებს ქართული ენის სილამაზის და მისი მუსიკალობის შესახებ.

– ღმერთების ენა რას ნიშნავს, გვითარგმნე! – მთხოვა ნენსიმ.

მე, ბედნიერს, თავში ამივარდა: ლადო ქართულ ენას ღმერთების ენას უწოდებს და მის უკვდავებას ამით ხსნის – მეთქი, მოვიწონე თავი.

– არის რაიმე მითი ან მითისმაგვარი ამის შესახებ? – წამოდგა ნენსი ხელახლა.

– მაშინ სინამდვილე იქნება! – წამოეშველა მაიკლი.

ამ პატარა კადრმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა ორ ძალიან მნიშვნელოვან საკითხზე: 1. ადამიანებს (ყველა კატეგორიას არა, რა თქმა უნდა) ძალიან აინტერესებთ ღმერთის წარმომავლობა; 2. ირლანდიელები რეალურად აღიქვამენ ზეპირსიტყვიერებით ამ დრომდე მოღწე-

ულ მითებს, ლეგენდებს, თქმულებებს, ფერიების ზღაპრული სამყაროს ამბებს და მათ პერსონაჟებს.

სწორედ ფოლკლორის, მითების, ლეგენდების გაცოცხლებით შეძლეს ირლანდიელმა დიდმა საზოგადო მოღვაწეებმა და მწერლებმა უილიამ ბატლერ იეიტსმა და ლედი გრეგორიმ ირლანდიელთა, თითქმის წაშლილი ეროვნული ცნობიერების შეჯანჯღარება და გამოფხიზლება.

ისევე, როგორც ყველა ხელოვანს, მეც მსურდა სილამაზისგან, სასიამოვნოსგან და ამ უსიხარულო, უხეში ქვეყნიერების მნიშვნელოვანი მოვლენებისგან შემექმნა პატარა სამყარო და ჩემი ხალხისთვის თვალნათლივ მეჩვენებინა ირლანდიის სახე. მეჩვენებინა ის, რის ასახვასაც კი შევძლებდი. ამიტომ გულდასმით და მიუკერძოებლად ჩავიწერე ყოველივე, რაც მომისმენია და მინახავსო, წერს იეიტსი თავი სწიგნში „კელტური მიმწუხრი“. წიგნში მოთხრობილი უმეტესი ამბები თვალციმციმა ბერიკაცის, ვინმე პედი ფლინის მიერაა ნაამბობი, რომელიც თურმე სოფელ ბალისოდარში, ერთოთახიან ბარაკში ცხოვრობდა, რომლის ბზარებიდანაც წვიმა ჟონავდა. ამ ადგილს „ფერიების ზღაპრულ სამყაროს“ ეძახდა და ფერიების გარემოცვაში, მცხოვრებმა, იეიტსის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ იმავე წიგნიდან: „სხვა მეზღაპრეებისგან განსხვავევბით, იცო-

და როგორ მიეტანა ზეცა, ჯოჯოხეთი, განსაწმენდელი, ჯადოსნური ქვეყანა და დედამიწა ადამიანებამდე“.

ირლანდიური მითებისა და ლეგენდების პერსონაჟები, მსგავსად ირლანდიელი ხალხისა, მიუხედავად მათი სიძლიერის, გამოცდილებისა და მათ ხელთ არსებულ იარაღისა, უმეტესწილად მარცხდებიან. ასე იზიარებენ და განასახიერებენ ისინი თავიანთი ქვეყნის ისტორიას.

ირლანდიის დავიწყებული წარსულისა და ისტორიის ასე მისხალ-მისხალ შეგროვილი ამბებით შეძლეს ლედი გრეგორმა და უილიამ ბატლერ იეიტსმა, ირლანდიელის დარღვეული სული რწმენითა და ძალით აევსოთ და ჩაეგონებინათ, რომ ირლანდიის წელთაღრიცხვა არ იწყებოდა ინგლისის შესვლით ირლანდიაში და რომ ქვეყნის ერთიანობა და ისტორია მითოსურ ეპოქამდე აღწევდა.

რაკი სიტყვამ მოიტანა, ხაზი გავუსვი იმ გარემოებასაც, რომ საქართველოში გარდა მშობლიური – ქართული ენისა, კიდევ ორი, ენა არსებობს: მეგრული და სვანური ენები და რომ სვანეთში სვანურად ლაპარაკობენ და სამეგრელოში მეგრულად. რომ, ეს კოლორიტული ენები, მეგრული და სვანური, დამწერლობის არმქონე ენებია და მხოლოდ სამეტყველო (მოსმენისა და ლაპარაკის) ფუნქციით გამოიყენება. ხოლო წერა-კითხვისას, ბუნებრივია გა-

მოიყენება ოფიციალური – ქართული ენა. რომ, როგორ მდიდრდება სახელმწიფო ქართული ენა ამ ენებიდან სიტყვების შემოდინებითა და კოლორიტით. რომ, საქართველოში ათი ანეგდოტიდან, უმეტესი მეგრელებზე და სვანებზე მოდის, უფრო კონკტრეტულად: მეგრელის გონიერებასა და სვანის უშუალობაზე. და რაც მთავარია, ამ ანეგდოტებს ყვებიან ქართულ ენაზე – მეგრელებზე მეგრული, ხოლო სვანებზე – სვანური აქცენტით.

– ნენსი, რამდენი ხანია ვფიქრობ და საბოლოოდ ჩამოვყალიბდი. მინდა, შენს ლამაზ, ფრანგულივით ხორხისმიერ გალურ ენას, რომელიც ბოროტად და უღმერთოდ განიდევნა და შენ, რომელსაც ასე ძალიან გინდა მისი უკვდავება, სიმბოლურად გიძღვნათ „ქართულ-ირლანდიური“ და პირიქით „ირლანდიურ-ქართული“ სასაუბრო თანდართული ლექსიკონით.

– ხვალ რომ მოხვალ ბევრ მასალას დაგახვედრებ და მეც დაგეხმარები! – დაილაპარაკა ფიქრებში ღრმად წასულმა ნენსიმ. – და ეს ამ ორი პატარა ქვეყნის შემდგომ თანადგომას მოემსახურება ალბათ, არა?! ვინ იცის, რა ხდება!

– რა თქმა უნდა. თორემ არც მე არ მაქვს მაგის ილუზია, რომ ქართველები ირლანდიურ ენაზე აჟღურტულდებიან ან პირიქით! – ასევე საქმიანი კილოთი ვუპასუხე მე.

მეორე დილას მივედი თუ არა, სამზარეულოს მაგიდაზე დამხვდა არა ერთი საინტერესო

მასალა საქმის დასაწყებად. და რაც მთავარია: ნენსი ირლანდიურ ენაზე მომესალმა!

ასე ჩაეყარა საფუძველი 2011 წელს აღნიშნული ლექსიკონის შექმნას, რომელზეც შემდგომ, მოგვიანებით, სამწუხაროდ, ნენსის კონსულტაციების გარეშე, მარტოს მომიწია მუშაობამ თბილისში, არაირლანდიურ გარემოში.

ჩემი ჩასვლის დროისთვის დუბლინში უკვე არსებობდა ქართული რესტორანი „ნიკალა“, ყველა თავისი თანამედროვე, ევროპული თუ ეროვნული ატრიბუტიკით. ეს ერთგვარი შვებისმომგვრელი კომფორტი იყო ნებისმიერი ასაკის ქართველისთვის. შეგეძლო, აქ გადაგეხადა დაბადების დღე, გეზეიმა საერო დღესასწაული ან სულაც „ქართულის" მონატრება სულს რომ მოაწვებოდა, მარტოს, სრულიად მარტოს შემოგებურა გარს ქართული ეროვნული რიტმები და ჰანგები და ჩაძირულიყავი მათი ფენომენის უკვდავებაში. ნირვანაში მყოფისთვის, თვალებციმციმა ნინოს მორთმეული ქართული კერძები ხომ თითქმის ექსტაზს უტოლდებოდა ....

კინაღამ გამომრჩა უმთავრესი: ყველანი – რესტორნის მფლობელი და მომსახურე პერსონალი – ქართველები იყვნენ!

ძალიან მოკლე დროში გაითქვა სახელი „ნიკალამ“. მოუმრავლდა სახადასხვა ეროვნების კლიენტურა. ამან განაპირობა მენიუში ევროპული და ბალტიისპირული კერძების ჩართვაც.

ჩვენს „ციცქნა საქართველოში“ – „ნიკალას“ დარბაზში – გადაღებულ ფოტოსურათებს რომ ვათვალიერებ ახლა, სულ სხვანაირად ბრწყინავენ ჩვენი გოგონები, სხვა იერი დაჰკრავთ.

„ნიკალას“ მუსიკალური სახე გახლდათ ქართველი ნიჭიერი, შემდგარი მომღერალი და მუსიკოსი კობა გიორგაძე. კობასთვის საკმარისი იყო, მხოლოდ წამით შეევლო თვალი დარბაზში შემოსული სტუმრისთვის და მან უკვე იცოდა, რა ცეცხლი წვავდა, რა გზნება ჰქონდა მას შემონთებული. შეაფხიზლებდა ჰანგებს და სევდა და წუხილი შეუმჩნევლად მიიპარებოდნენ დარბაზიდან.

„ნიკალა“ იყო ჯადოსნური ადგილი, სადაც თითოეული ჩვენგანი სულს ითქვამდა, თავს იწონებდა უცხოელებთან და ხიბლავდა მათ ქართული ფოლკლორით, ცეკვებით, კოლორიტით თუ სამზარეულოთ. ერთდროულად – ყველაფრით!

მაშინ, 21-ე საუკუნის პირველ ათეულში, ირლანდიაში არ არსებობდა ქართული საელჩო, რომლის ერთ-ერთი მისია უცხოელთათვის საქართველოსა და ქართული კულტურის გაცნობა გახლავთ. ჩვენი „ნიკალა“ არაოფიციალურად, მაგრამ ერთგვარად ავსებდა ამ დანა-

კლისს. აქ შემოსული უცხოელისთვის „ნიკალა“ იყო პირველი შეხება საქართველოსთან და ბუ-ნებრივია ვერ ფარავდა ცნობისმოყვარეობას და ინტერესს ამ ქვეყნისადმი.

მე ვიცნობ ჩიკაგოელ ტომასს, რომელსაც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, არ ეგულე-ბა მსგავსი ქვეყანა ამ ცის ქვეშეთში. არ ვიცი, როგორ მოხვდა ტომასი პირველად „ნიკალაში“, მხოლოდ ის ვიცი, რომ აქ ეცნობოდა ის საქა-რთველოს. აქ სწავლობდა ქართულ წერა-კი-თხვას. მას არ ჰყავდა საამისოდ ერთი კონკრე-ტული მასწავლებელი. ქართველს როგორც კი მოიხელთებდა რესტორანში, ამოიღებდა თა-ვის რვეულს და საწერ-კალამს და მიადგებოდა თხოვნით, რომ მისთვის რამდენიმე, ქართული ანბანის ჯერაც აუთვისებელი ასო-ბგერა ესწა-ვლებინა. ასე გავიცანი ტომასი, რომელიც ამჟა-მად გამართულად ლაპარაკობს, წერს ქართუ-ლად, მეგობრობს ქართველებთან და ხშირად სტუმრობს საქართველოს.

და აი, ერთ დღეს ხმა გავრცელდა, რესტო-რან „ნიკალას“ მეპატრონემ – გოგამ – უნდა და-ხუროსო. ეს მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. ყველას დაენანა „ნიკალა“ გასაქრობად. ლამის ამხედრდა ხალხი იმის გასარკვევად, თუ რამ განაპირობა ამის აუცილებლობა. გარედან, ერთი შეხედვით, თითქოს არ ჩანდა, რომ არსე-ბულიყო რაიმე რეალური პრობლემა: ფინან-სური ან სოციალური. ან, არადა, მფლობელის

მხოლოდ კაპრიზი, როგორ აკვიატებასაც არ უნდა ჰქონოდა ადგილი, საამისოდ, არა მგონია, საკმარისი არგუმენტი ყოფილიყო. რესტორანი ჩემთვის ანტიბიზნესი აღმოჩნდაო, ამით შემოიფარგლა გოგას კომენტარი. მაგრამ აბა ვინ დაიჯერებდა? და აგორდა ჭორები.... ზოგი მომსახურე პერსონალს ადანაშაულებდა, თავში აუვარდათ და ევროპული პირობები–ნორმალური, დროული ანაზღაურება, ტვიფსის დამატებით, არ აკმაყოფილებთ და რესტორნიდან ნახევარფაბრიკატები და სასმელები გაედინებაო. მართალია, ამ „საბჭოურ-ქართული“ ჩვევის მოშლა შეიძლება არ იყო ადვილი, მაგრამ ის ხომ არ იყო ძნელი გოგასთვის, თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში ფაქტის წინაშე დაეყენებინა თავისი არაკეთილსინდისიერი მუშაკი და კარისკენ უბოდიშოდ მიეთითებინა?!

ზოგი უფრო შორს წავიდა: პრეზიდენტმა საკაშვილმა ძალოვანი სტრუქტურების მუშაობა ისე გააძლიერა, მთელმა ქართულმა ქურდულმა სამყარომ, მომპარავებმა და ნარკომანებმა არსებობისთვის ევროპაში გადაინაცვლესო. დუბლინშიც, ქვეყნიერების კიდეშიც, გამოჩნდნენ ვიღაც-ვიღაცები და გოგასგან წილში ყოფნა მოითხოვესო.

მე ძნელად ვიჯერებ მსგავს რამეებს, მაგრამ უდაოა, რომ რესტორანი „ნიკალა“ დაიხურა.

„ნიკალას“ დახურვას დაემთხვა დუბლინში რუსული რესტორნის – „ადმირალის“ გახსნა.

მართალია, ჩვენმა გოგონებმა შემდეგ წესად გაიხადეს დაბადების დღეებისა და დიდი წვეულებების „ადმირალში“ გადახდა, მაგრამ ეს სულ სხვა რამ იყო. ეს ხომ ყველგან, ყველა რესტორანში შეიძლება, სადაც ჯიბე მიგიწვდება!

ვერც იმ ჭეშმარიტებას გავექცევით, რომ ჩვენი ერის წარმომადგენლებს გზის გაკვლევა არანაირ ვითარებაში არ გვიჭირს. და „სულის მოსათქმელად“ ქართველებმა ირლანდიურ პაბებს მიაშურეს!

ირლანდიური ლუდის „გინესის“ დასაგემოვნებლად პაბი შეუცვლელი ადგილია. „გინესს“ საოცარი მიზიდულობის ძალა აქვს. პაბს არანაკლები. უფრო მეტი: პაბი ირლანდიის კოლორიტია.

საუკუნეების მსვლელობას თუ მივადევნებთ თვალს, ადვილად დავინახავთ მის დანიშნულებას ირლანდიელის ცხოვრებაში. რევოლუციის მამას, ფრიდრიჰ ენგელსს თუ ვენდობით და დავუჯერებთ, ეს მოშავო ფერის მოხარშული ღვინო ერთადერთია, რაც ირლანდიელს ცხოვრებას უმსუბუქებსო (1843 წ).

იმასაც ამბობენ, ირლანდიული ლუდითა და ვისკით შემთვრალი გონება ეროვნულ ცნობიერებას მაგიური ძალებით აფხიზლებსო. მონობას ვერ შეგუებული, გულნატკენი ირლანდიელები პაბში გეგმავდნენ და შემდეგ ახდენდნენ რევოლუციებსო. 1916 წლის საალდგომო აჯანყების იდეა, რომელმაც ქვეყანას დამოუკიდებ-

ლობა მოუტანა, სწორედ პაბში იშვაო. გულდასაწყვეტიაო, ხუმრობენ, ოდნავ შემთვრალმა ლიდერებმა დროზე რომ ვერ მიაწვდინეს ხმა თავიანთ ბელფასტელ თანამებრძოლებს, რომლებიც ინფორმაციის დაგვიანების გამო ხელჩაქნეულნი, რომელიღაც პაბში შეყუჟულები, ჩვეულებისამებრ ვისკითა და ლუდით შემთვრალნი, უკვე მოქმედების შემდგომ განვითარებაზე ოცნებობდნენო.

ალბათ ურთიერთშეთანხმებით, ერთმანეთისთვის ზარალის ასაცდენად, მეპატრონეებმა თავიდანვე პაბებში თემატიკა გაამრავალფეროვნეს. ამიტომ ინტერესის შესაბამისად, ნებისმიერს შეუძლია ეწვიოს სხვადასხვა პაბს: 1. ლიტერატურულს, სადაც მწერლები და ლიტერატურით დაინტერესებულნი იკრიბებიან; 2. ფოლკლორულს – ფოლკლორის მოყვარულთათვის; 3. ახალგაზრდულს და ა.შ.

ასეა თუ ისე, ირლანდიური პაბი ის ადგილია, სადაც ადამიანს ბევრი რამის შეტყობა შეუძლია ირლანდიელების, დუბლინის და ზოგადად კუნძულის შესახებ.

სხვა თემაა, ირლანდიელი სიამოვნებით რომ სვამს მშობლიურ ლუდს და ვისკს და სულ სხვაა თემაა, ზოგს ზომაზე მეტის დალევა რომ სჩვევია.

ირლანდიურ პაბში როცა მოხვდები, ისეთ ფრაზებს გადააწყდები, რომლებიც მხოლოდ აქ გამოიყენება და ადგილობრივების დახმარების

გარეშე ვერ ჩაწვდები მათ მნიშვნელობას. რომელი ეროვნების წარმომადგენელიც არ უნდა იყო, როცა აგიხსნიან ლუდის ბოკალის მიჯახუნების დროს „სლაინტე“ – ტრადიციული ფრაზაა, რაც ჩვენებურად დაახლოებით იგივეა: გაგვიმარჯოს, კარგად ვიყოთო, ძალაუნებურად ჩვევად გექცევა და მხოლოდ ამ ირლანდიური ფრაზით იწყებ ხოლმე შენს თანამეინახესთან ერთად გინესით ტკბობას.

არანაკლებ საინტერესოა ფრაზა „კრაკი“, რაც არალეგალურ ამერიკულ ნარკოტიკს ნიშნავს, მაგრამ ირლანდიური „კრაკი“ ის ადგილია, სადაც სიხალისე, მუსიკა და გართობაა ანუ ერთობი, მუსიკით ტკბები და დროს მხიარულად ატარებ. ჩვენები, ქართველები, როგორც ირლანდიელები იტყვიან, ირლანდიურ პაბებში „ერთი პინტა გინესისთვის მიდიან და კრაკისთვის რჩებიან“ ხოლმე.

გაიზარდნენ ჩემი ირლანდიელი ბავშვები. ჯეკი 21–ს გახდა, ანა – 19–ს, მაიკი –17–ის. უკვე აშკარად არ იყო აუცილებელი ჩემი იქ ყოფნა და თავს ცოტა უხერხულად ვგრძნობდი.

ერთხელ ვიხელთე შესაფერისი დრო და შესვენებაზე ლანჩზე მოსულ ჯერალინს ვუთხარი, ბავშვები დიდები არიან, მერიდება აქ რომ ვარ. ვიშოვი „ახალ პატარებს", რეფერენსს შენგან წავიღებ და უხერხულობას გავფანტავ–მეთქი.

რეფერენსი არ გჭირდება, ექვსი წელი ჩემს სახლში რომ ხარ, ეს 1000 რეფერენსს აღემატება. მე თვითონ გავიკითხავ მეგობრებში, რაღაც გამოჩნდება, ალალბედზე ვერ გაგიშვებო და ამ საუბრიდან ასე ხუთი თვის შემდეგ აღმოვჩნდი ორ საყვარელ ბიჭუნასთან. ფრედი ორი წლის იყო მაშინ, ხოლო ლუი მხოლოდ ორი თვის.

ფრედი „ჯიბიდან გავარდნილი" ბიჭუნა აღმოჩნდა, რომელიც ცდილობდა, ყველაფერი,

ყველა სიტუაცია უმეტესად თავის სასარგებლოდ წარემართა. რომ მივედი, დაუძახეს, გამოდიო. გაბადრული გამოვიდა ფრედი, პატარა მკლავები მომხვია და მიყვარხარო, სიყვარული ამიხსნა. შემდეგ დაემშვიდობა დედ-მამას და კარებამდეც კი მიაცილა. კარი ბოლომდე არ ჰქონდა მიხურული, გამოვარდა ჩემკენ, ააბრიალა თავისი დიდრონი, ლურჯი თვალები და წაბმა დამიპირა:

– ხომ მომცემ სასუსნავებს?

– რომ არ უთქვამს დედიკოს?

– მერე რა. მიყვარს სასუსნავი. წამოდი, გაჩვენებ სად არის და მომეცი! გთხოვ! – ჩამავლო ხელი და სამზარეულოს კარადისკენ გამაქანა ფრედიმ.

– ზედა კარი გამოაღე! აი, იქ არის, – გაიშვირა პაწაწინა, ბუთქუნა თითი და ლამის აკანკალდა სიხარულისგან.

როგორ გინდა, დაემალო ბავშვის სიხარულით აციმციმებულ თვალებს ან როგორ უნდა გაუქრო სუსნაობის სურვილი?! თანაც პირველი დღეა და ბავშვს ჯერ არც ვიცნობ. რომელ მის მართვაზეა ლაპარაკი!

– რა გიყვარს, აბა მითხარი! შენ ისეთი კარგი ბიჭი ხარ, ყოველთვის მოგცემ. ოღონდ – ცოტ-ცოტას. ხომ იცი, ბევრი არ შეიძლება!

დანამუსებულმა ფრედიმ შეიფერა მდგომარეობა. კი, ვიციო, დაავლო ხელი ჩემს მიწოდებულ ორ პეჩენიას და პირისკენ გააქანა.

ლუი, ფითქინა, ერთი ბეწო, თვალს არ მაშორებდა. ხელოვნურ კვებაზე მყოფს, ბოთლით რძე შევუთბე და მოვაწოვე. ღმერთო რა უმწეოა!

სახლის უკან მოვლილი, ახასხასებული, მოზრდილი ეზო, გინდა არ გინდა, გარეთ აუცილებლად გაგიტყუებდა.

– ფრედი, გავიდეთ ეზოში! ნახე, მზე როგორ ანათებს! თანაც პაწაწინა ძამიკო გავასეირნოთ. რას იტყვი?

– კი. ახლავე მოვაგორებ ჩემს ურიკას. მიწა გავთხაროთ.

ჩემს თანხმობას არ დაელოდა, ფრედი ხტუნვა-ხტუნვით გავარდა ეზოში, გამოაგორა თავისი ურიკა, რომელზედაც სათამაშო ბარი და ნიჩაბი საქმიანად დაეწყო და შეუდგა მიწის თხრას.

ლუი დავაბინავე ჩრდილქვეშ და მივუახლოვდი.

– რატომ თხრი მიწას, ფრედი? ძნელი არა არის? თუ გინდა, მოგეხმარები.

– ჭიაყელას ვეძებ. ჯერ მე გავთხრი.

თხარა და თხარა ფრედმა მიწა, მაგრამ არ ჩანდა ჭიაყელა.

– მომე ბარი, იქნებ მე უფრო ღრმად გავთხარო და ვიპოვო ჭიაყელა! – შევთავაზე ფრედს დახმარება.

– შენ ვერ იპოვი.

– რა იცი. მაინც ვცადოთ! მგონი, ცოტათი დაიღალე კიდევაც. კარგი?

– ხო. შეხედე, აი ასე უნდა გათხარო მიწა! – დამმოძღვრა ფრედმა და გადმომცა თავისი ბარი.

პირველსავე დაკვრაზე ბარს ერთბაშად ორი ჭიაყელა ამოჰყვა. აჭყლოპინდა სიხარულისგან ფრედი, ლამის გულში ჩაიკრა ჭიაყელები.

– როგორ იპოვე?

– ესენი შენი ნაპოვნებია ფრედი.

– ?!

– ხომ შენ თხრიდი მიწას? ნახე, რამდენი გათხარე? ჩემთვის რომ არ მოგეცა ბარი და კიდევ ერთი პირი მიწა ამოგეღო, ხომ შეგხვდებოდნენ ეს ჭიაყელები?

დასერიოზულდა ფრედი, გამომცდელად შემომხედა და დაფიქრდა.

– ხო, მე ვიპოვე, ჩემები არიან. – შემომცინა ბოლოს და ჭიაყელებს მიუცუცქდა. კარგა ხანი ებუბუნა თავის მეგობარ ჭიაყელებს და მერე ისევ ბარს მოავლო ხელი.

– რას აკეთებ? – გადამიქანდა გული.

– მიწას დავაყრი. წავიდეს თავის სახლში. ხვალ ისევ ვნახავ, – საქმიანად მიპასუხა მან და ამოთხრილი მიწა თავის ადგილზე დააბრუნა.

ასე, ხან ჭიაყელების ძებნით და მათთან საუბრით, ხანაც პარკში, სათამაშო მოედანზე, ერთობოდა ჩვენი შესანიშნავი სამეული მთელი, გამოსაცდელი, კვირა...

კვირის ბოლოს კარენმა, ბავშვების დედამ, დანაღვლიანებულმა, მიამბო, ავთვისებიანმა სიმსივნემ დედამისს როგორ სწრაფად მოუღო

ბოლო, რა განცდებში იყო, პატარები როგორ ყურადღებას ითხოვდნენ, მას კი, ყველაფრით გადაღლილს, როგორ სჭირდებოდა ცოტა ხნით ყველაფრისთვის გაერიდებინა თავი.

ჩემმა ქმარმა, ბრენდანმა, გადაწყვიტა, ერთი კვირით სამოგზაუროდ წავიდეთ საფრანგეთსა და იტალიაში. ბავშვებთან ხომ დარჩებიო, მთხოვა ბოლოს.

ეს იმდენად მოულოდნელი იყო, სახტად დავრჩი. კი ვიყავი მიჩვეული, ჯერალინის მეგობრები ქალაქიდან რომ გადიოდნენ დასასვენებლად, თავი რომ აერიდებინათ გაქურდვისთვის ან რაიმე უსიამოვნებისთვის, თავიანთ სახლებში მე მტოვებდნენ. ანა და მაიკლთანაც დავრჩენილვარ და მომივლია მათთვის, მაგრამ სხვის შვილებთან, ასე პატარებთან, ნამდვილად არასდროს ვყოფილვარ მარტო.

რა უნდა მექნა, დავთანხმდი. ორ დღეში მომაჩეჩეს პატარები და წავიდნენ.

ირლანდიელი ბავშვები სულაც არ ჰგვანან ჩვენს გიჟუნიებს. საოცრად თვინიერები არიან. ხმას თუ დაუწევ და თითქმის ჩურჩულით მიმართავ, ეს იმას ნიშნავს, რომ რაღაც დაუშავეს. ეს შენიშვნაა, ასე არ უნდა მოიქცნენ და ბოდიშს მოიხდიან. მეტს აღარ გავიმეორებთო, შეგპირდებიან. ანდა პირდაპირ გარიგებაზე გადავლენ, რაც უმთავრესად ასე გამოხატება: მარტო ერთხელ, კარგი? ერთი ცალიც მომეცი და მორჩა, მეტს აღარ გავიმეორებ!

მათთან ურთიერთობა კი არ იყო ძნელი, მე სხვა რამ უფრო არ მაძლევდა მოსვენებას.

უკანასკნელ წლებში, საიდან არ არის აქ შემოხეტებული „ბედ მდევარს“ გამოსხლეტილი, საშოვარზე გადაგებული ათასი ჯურის ადამიანი, პლანეტის ყველა კუთხიდან. აქედან ნახევარი თუ არა, მეოთხედი მაინც ხომ ყველაფერზე წამსვლელია, რომლებიც ერთ ადგილზე დაფუძნებას ვერ გუობენ, ყველაფერზე მიდიან, რაც მათ და მათს ოჯახებს ადვილად შეჰმატებს შრიალა ბანკნოტებს.

არაერთხელ შემინიშნავს, ადგილობრივები როგორი გაასკეცებული ყურადღებით დარაჯობენ პატარებს და შენგანაც იმავეს მოითხოვენ.

პირველ ღამეს, თვალი მიმელულებოდა თუ არა, სიზმარში სულ ვიღაც მტაცებდა ხან ერთ, ხან მეორე ბიჭუნას. ხშირ-ხშირად ფხუკუნებდა პატარა ლუი. რომ დავხედავდი, თვალს შემავლებდა და ისევ იძინებდა.

ერთხელ მუშტისტოლა ლეკვი მოგვაბარა ნური დეიდამ მთელი კვირით. თავზე ევლებოდნენ გიო და ნინი, სულ ცხვირ-პირს უკოცნიდნენ, რასაც დედამისის, რუსიკოს, წიოკობა ახლდა თან. ღამე ჩააწვენდნენ პატარა, ლამაზ, ფერად ყუთში, დაემშვიდობებოდნენ და გარბოდნენ დასაძინებლად, ეგონათ, ლეკვსაც ბედნიერად ეძინა მთელი ღამის მანძილზე. ლეკვი კი ფხაკაფხუკს ატეხდა და ცდილობდა ამოძრომას.

რამდენჯერმე ამოვიყვანე ყუთიდან და დავუყვავე. იმ წამსვე მოერია ძილი და თავი ჩამოუვარდა. როგორც კი დავსვამდი, წამსვე ფხიზლდებოდა და წრიალებდა. მერე თავდამძიმებული წალასლასდა იქვე, ტახტზე, მოკალათებული ზურასკენ, ფეხებზე მიეხუტა, თავი თავის წინა თათებზე ჩამოდო და ჩაეძინა. მგონი, ღამე ეშინია, ვიღაცის სიახლოვეს უნდა გრძნობდესო, დაიჩურჩულა ზურამ, ლეკვი რომ არ გაეღვიძებინა. ასე უთენებდა ზურა ღამეებს პატარას, სანამ ჩვენთან ცხოვრობდა. როცა გამოიძინებდა ლეკვი და ოთახში ბორიალს დაიწყებდა, მხოლოდ მერე მიდიოდა ზურა დასაძინებლად.

ამ მოგონებამ მიმაღებინა გადაწყვეტილება, დამერღვია ირლანდიურ-ევროპული ტრადიცია, ამოვიყვანე ჩემი ლუი-ლეკვი თავისი ზიმზიმა საწოლიდან და მივიკარი გულზე. ასე ჩემს გულზე ეძინა ლუის მთელი კვირის მანძილზე ბედნიერად. მეც მშვიდად ვიყავი და ფრედის ოთახის კარებს გათენებამდე ვდარაჯობდი.

ფრედის ძილისწინა რიტუალი ასეთი იყო: უყურებდა ძილისპირულს ტელევიზორში, აუცილებლად მთხოვდა, კიდევ ერთხელ გადამიხვიეო, შემდეგ ვავახშმებდი, დავბანდი, გავწევდით საძინებელი ოთახისკენ და ჩავსვამდი თავის საწოლში.

მაგრად ჩამეხუტეო, მომანათებდა თავის ლურჯ თვალებს, შემომხვევდა ხელებს და კიდევ ერთხელ გამომიტყდებოდა სიყვარულში.

შემდეგ თავის პატარა დათუნიას ჩაიკრავდა გულში, ნუ გეშინიაო, ჩასჩურჩულებდა. ჩავუქრობდი შუქს და ფრედს თავის დათუნიასთან ერთად მშვიდად ეძინა დილამდე.

ძილს მიფრთხობდა იმის შიში, ოჯახს მტერი არ ჰყავდეს და ვინმემ ბავშვები არ მომპაროს ან არ წამართვას-მეთქი. არ იყო ეს აკვიატებული აზრი. მტერი იმის მტერია, გაუგონარი მოგწიოს.

დავურეკე გოგოებს, მუშაობას რომ მორჩებით, იქნებ გამომიაროთ ამ მისამართზე–მეთქი. არ ვიცი, ვინ რა გაივლო გულში, იქნებ ახირებად ჩამითვალეს, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: ფლორამ, დარეჯანმა და რუსიკო ლაბაძემ არაერთხელ მომაკითხეს. სხვებს არც შევხმიანებივარ...

ყოველდღე გამომივლიდა კარინას მამა ან ძმა ცალ-ცალკე, ფრედს სასეირნოდ წაიყვანდნენ ორი საათით, შენ ცოტათი დაისვენეო, მთხოვდნენ. მე უზომოდ მადლიერი, მადლობას ვუხდიდი ასეთი გულისხმიერებისთვის.

იქნებ სულაც მამოწმებდნენ? ვინ იცის!

კარინა რომ დაბრუნდა ქმართან ერთად და წამოსვლა დავაპირე, ფრედი გაოცდა, ნანა ხომ ჩვენთან ცხოვრობს, რატომ უნდა წავიდესო?!

ძალიან მალე გადმოვა ჩვენთან, ოღონდ დღეს წასვლა აუცილებელიაო, აუხსნა კარინამ და თბილად და ტკბილად ჩაეკრო თავის ჭკვიან ბიჭუნას.

შვიდი თვის იყო პატარა ნატალი პირველად რომ ვნახე. ნახევრად მჯდომარე, მშვიდად მადევნებდა თვალს. ასეთებზე ჭკვიანი ბავშვიაო, ვიტყვით ხოლმე. აი, ისეთი, რომ დაანაყრებ, პამპერსს დროზე გამოუცვლი, სათამაშოებს მიუჩოჩებ და თუ არავინ ააცლის მათ, არის თავისთვის და არ გაწუხებს. ანა-მარია ამ ასაკში ხოხვით ყველა კუთხე-კუნჭულს მოივლიდა, ეს ზარმაციაო, ამბობდა მანანა, დედამისი.

რაღაც ერთთვიანი შუალედის მერე კვლავ მოვინახულე ნატალიკო და ვხედავ, იატაკზე მუცელზე გაწოლილი, რაღაც უცნაური მოძრაობით მიიწევს წინ. თვალში მომხვდა მისი გადაადგილების მანერა: ცალი მხრით მიიწევდა წინ, შეძლებისდაგვარად სწრაფად, მერე ყოვნდებოდა, ვინაიდან მეორე მხარე არ ემორჩილებოდა, ბიძგით მთელ ტანს გადაიტანდა, მერე ისევ თავიდან იმეორებდა, ანუ სხეულის ერთი

ნახევარი ამ მოძრაობაში მონაწილეობას ვერ ახერხებდა. საუბრისას ვკითხე მანანას, შეგიძლია მეგრელი მთვარისას, იგივე მედიკო კალანდიას კოორდინატები მოიძიო? ამბობენ, კარგი მასაჟისტიაო. იქნებ ბავშვებთან მუშაობის გამოცდილებაც აქვს-მეთქი. გაკვირვებით შემომხედა მანანამ, მაგრამ არაფერი მკითხა. რომ არ შეშინებოდა, ფრთხილად ავუხსენი, როგორ ჰაერივით სჭირდებოდა ნატალიკოს სამკურნალო მასაჟები, დაბადებისას მიღებული ტრავმის ასალაგებლად, ხოლო რასაც ისინი ხოხვას ეძახდნენ, ნამდვილად შორს იყო ხოხვისგან და რომ ეს მხოლოდ ნატალიკოს მცდელობა გახლდათ გადასაადგილებლად.

მოვიდა მედიკო. მივუსხედით ფინჯან ჩაის.

– როგორ ფიქრობ, შეუმსუბუქებ ნატალიკოს მდგომარეობას?

მან არ აარიდა თავი ჩემს ფრთხილად დასმულ შეკითხვას. მე მომენდეთ, მაგრამ საერთოდ ეცადეთ, ასეთი პატარა არსება ბრმად ხელში არავის ჩაუგდოთო. გეთანხმებით, ადვილი შესაძლებელია რამე დაუშავდესო. ამით ყველაფერი ითქვა ჩვენ შორის.

მედიკომ პირდაპირ იატაკზე „მოუწყო“ ნატალიკოს სამუშაო მაგიდა. პატარა გრძნობდა პროფესიონალის ხელებს და იქნებ არ სიამოვნებდა, მაგრამ მედიკოს მაინც გაკვირვებით თვალს არ აშორებდა. პირდაპირ თვალებში მისჩერებოდა. 5-6 მასაჟის შემდეგ ნატალიკომ

ხვნეშის გარეშე „ხოხვით გაიარა“. ათი მასაჟის შემდეგ, როგორც მიღებულია, შევასვენეთ ნატალიკო და მომდევნო თვეს მედიკო ისევ შეუდგა პროცედურებს.

ნატალიკო არც კი იყო ერთი წლის, ერთ მშვენიერ დღეს წამოდგა და გამართულად, ყოველგვარი ბორძიკის გარეშე, თავისი სათამაშოების ყუთისკენ ნარნარით წავიდა.

ჩვენი, მედიკოსი და ჩემი, უცვლელი რიტუალი პროცედურების დაწყებამდე და დამთავრების შემდეგ იყო ფინჯანი რძიანი ჩაი ან ყავა. მანანას კეთილშობილებას არ აღიზიანებდა ერთი თაობის ორი თავმომწონე მეგრელის ტუსტუსი.

ნურავინ ამიხირდება, არც ვინმეს ვუფრიალებ ცხვირწინ წითელ ბაირაღს, მაგრამ მეგრელის გვერდით რომ მოვხვდები, რაღაც სხვა შეგრძნება მეუფლება, მეტი დაცულობის და გატანის. ირგვლივ ახასხასდებიან ფერები და „მეგრული სურნელი“ სიოსავით მსუბუქად წამომიქროლებს ხოლმე. მით უმეტეს, თუკი ცხოვრება, მიუხედავად რთული დღეებისა, მაინც ვერ ახერხებს მის მიწასთან გასწორებას.... და ხან პეტერბურგში ვედებოდით მე და მედიკო ღობე-ყორეს, ხანაც – თბილისში, დუბლინში, სენაკსა და ზუგდიდში.

მედიკოს არ ჰყავდა საკუთარი შვილები. 4 ძმისშვილი იყო მისი ოთხი დარდი და სიხარული. ერთ დღეს მომახარა, ნათიამ მანქანა იყიდა და განახა, როგორ დაკუსკუსებსო. ძმის-

შვილებში კაცი მხოლოდ ერთი ერია – გიორგი! დღეში რამდენიმეჯერ მაინც ახსენებდა ხოლმე სხვადასხვა კონტექსტში. ჩემი გიორგი ძალიან ჭკვიანიაო, მოჰქონდა თავი. ძმებსაც ხშირად ახსენებდა. რომ ვუსმენდი, ვგრძნობდი, დიდი, მოსიყვარულე ოჯახის წევრი იყო, სადაც ყველას ერთმანეთის ტკივილი სტკივა და სიხარული ახარებს.

მერე მე წამოსვლამ მომიწია. სოციალური ქსელებიდან შევიტყვე მედიკოს გარდაცვალება. უზომოდ მეტკინა გული. მედიკოს აბა ვინ მიაბარებდა უცხო მიწას?!

ეკლესიაში რომ შევედი დასამშვიდობებლად, მისი ბედნიერი სახე შემომეგება სურათიდან. ყვავილების ზღვაში ჩაფლული, თავისი საყვარელი ადამიანებით გარემოცული, თითქმის არ ჩანდა.

ბორისი შეხედავდა სურათს, შებრუნდებოდა და პატარა, მწარედ გალახული ბავშვივით სცვიოდა ცრემლები. რამდენ რამეს უცოცხლებდა მას ფოტოსურათზე აღბეჭდილი მედიკოს ბედნიერი სახე! რამდენ რამეზე ტკიოდა გული სულშეძრულ ძმას!

გიორგი უფროსი დინჯად დადიოდა. ხუმრობა საქმე არ იყო, დისთვის ხელი მოეხვია და წამოესვენებინა, რომ ქართული მიწისთვის მიებარებინა მისი ტკივილებით ნაწამები სხეული.

გიორგი უმცროსს ცრემლებისთვის დრო არ რჩებოდა. მისი მზერა ყველა წვრილმანს უნდა

მისწვდომოდა. ღირსეულად უნდა მიეცილებინა „იმ“ კარიბჭემდე და საიმედოდ დაებინავებინა მამიდა. ბოლომდე უნდა ეერთგულა მისთვის, არ უნდა გაეწბილებინა მისი იმედი. ცრემლს ხელი არ უნდა შეეშალა მისთვის!

მედიკო ირლანდიურ, ქართული ფოლკლორით დაინტერესებულ, სამოყვარულო ანსამბლ „ზურმუხტში“ მღეროდა სხვა რამდენიმე ქართველთან ერთად. მისი სავიზიტო „ჩელა“ მეგრული ფოლკლორიდან, ნამდვილად დიდხანს გაჰყვება მედიკოს ქართველი და არაქართველი მეგობრების ხსოვნას.

– საიდან იცი ასეთი რამეები? – მკითხა ერთხელ ნენსიმ გაკვირვებულმა, როცა ვთხოვე, უჩემოდ კარი არავისთვის გაეღო და ავუხსენი, რომ ამ ბოლო დროს ძალიან მომრავლდნენ ჯგუფ – ჯგუფად მოხეტიალე, გაურკვეველი ეროვნების ადამიანები, რომლებიც, მართალია, მოწყალების თხოვნის მოტივით მიადგებოდნენ ირლანდიელებს, მაგრამ თუ დაინახავდნენ, რომ სახლის პატრონი მარტო იყო და მოწყალების გასაღებად სახლში შებრუნდებოდა, იქაურობას ურცხვად გაასუფთავებდნენ. ირლანდიელი ხომ კარს არავის მიუხურავს! გასაღებსაც იქვე საკეტში დატოვებს, რომ სტუმარს ადამიანური ღირსება არ შეულახოს!

– არ მინდა ჩვენთანაც მოხდეს რაიმე ამდაგვარი, ნენსი, – ასე დავამთავრე ჩემი ძუნწი განმარტება მე.

– მე რომ მსგავსი არაფერი გამიგია?

– გაიგებ მაშინ, როცა ჩვენს უბანშიც მოხდება.

– იცი, კიდევ რა ინფორმაციას აგროვებენ, ნენსი? აინტერესებთ, სახლის პატრონები დღის რომელ მონაკვეთში არ არიან სახლში. ან თვალს მოავლებენ ოთახებს, ღირს თუ არა რაიმეს გაზიდვა. თუკი უხვად გაიღებ მოწყალებას, კვირაში რამდენიმეჯერ მოგადგებიან და მეწველ ძროხად გაგიხდიან, – ვეცადე სახტად დარჩენილი ნენსის მდგომარეობიდან გამოყვანა.

გაიტრუნა ნენსი და გამომცდელად მომაჩერდა.

მეორე დილას რომ მივედი, მოსალმების ნაცვლად ნენსიმ, აფორიაქებულმა, მომახალა, გუშინ ორი შემთხვევა იყოო უბანში: ერთს, მოწყალების სათხოვნელად რომ მიადგნენ, სანამ ოჯახის დიასახლისი ფულის და რაღაცების გამოსატანად შებრუნებულა, იმათ მიმდებარე ოთახებიდან ყველაფერი გაუტანიათ და გაუჩინარებულანო. მეორეს, სამსახურიდან ახალმოსულს, ჯერაც ხელში სჭერია ჩანთა და კარი რომ გაუღია, ჩანთა ხელიდან გაუტაციათ და გაქცეულანო.

– იმედია, დღეიდან კარებთან უჩემოდ არ მიხვალ, ნენსი, – ხასიათი გამიფუჭდა მე და სკამზე დავეშვი.

რა დროს ეგ იყო, მაგრამ მაშინვე ერთმა მომენტმა შემახსენა თავი ჩემი და ნენსის ურთიერთობიდან. ვსხედვართ ბუხრის სიახლოვეს მე

და ნენსი. ნენსი ზის სკამზე და ეკრანს მიჩერებული მიკითხავს თავის საყვარელ ადგილს რომელიღაც წიგნიდან. მე ვზივარ ტახტზე, ვუსმენ და ლამაზ ხელჯოხს ვათვალიერებ, რომელიც ჯერალინმა წინა დღეს მოიტანა, სავარაუდოდ – ნენსისთვის. ამ დროს რაღაცამ გაირბინა და ტახტის ქვეშ დურთა თავი. საიდან აღმომაჩნდა ასეთი სწრაფი რეაქცია, დღემდე ვერ ამიხსნია. უსწრაფესად მივაყოლე ხელჯოხი, იმ „რაღაცას“, ტახტის ქვეშ. ვიგრძენი, ჯოხი სამიზნეს გამოედო. დავიხარე და შევიჭყიტე: ჩემი იარაღი წრუწუნას თავში მოხვედროდა და სულს ღაფავდა.

– რას ფუთფუთებ? მგონია, მისმენ! – შემობრუნდა ნენსი ჩემკენ.

– რა თქმა უნდა, გისმენ, ნენსი. უცებ ფეხებში რაღაც გამიძვრა და ტახტის ქვეშ შევარდა. ტროსტი მივაყოლე. კიდევ კარგი, მოვახვედრე. წრუწუნა ყოფილა.

– აბა, მაჩვენე! – დაიხარა ნენსი.

გამოვაცურე ჩემი მსხვერპლი და მივანათე თვალები ნენსის. დახედა ნენსიმ შესაბრალისად, უსულოდ მობუზულ წრუწუნას და მისმა საცოდაობამ ისე აუბნია გონება, სულ ქილერი მიძახა. ერთი ამას უყურე, კეთილშობილების მეტრი მგონია, ეს კიდევ ქილერი ყოფილაო. ამას აქამდე როგორ ვერ მივხვდიო. დაურეკა თავის მეგობრებს და ყველას შეატყობინა ჩემი ქილერობა. რა უნდა მოვუხერხო ახლა ამ წრუწუნას,

არ ვიცი, როგორ მოვიქცეო, ასე ამთავრებდა ბრალდებას ნენსი, კიდევ ერთხელ შეავლებდა თვალს დაზარალებულს და ამოიოხრებდა.

მე ხმას არ ვიღებდი. ხომ არ ვიტყოდი, ნაგავში გადავუძახებ-მეთქი, ცეცხლზე ნავთს ხომ არ დავასხამდი? კარგა ხნის შემდეგ, უსიტყვოდ ავდექი და ჩაის დალევის რიტუალისთვის თადარიგს შევუდექი. იქნებ ამ პროცესს მაინც ეშველა ჩემთვის.

მივუსხედით მაგიდას, ჩვენ ჩვენი ფიქრებით დამძიმებულნი. თანდათან გახანგრძლივდა შუალედი ნენსის ოხვრასა და ოხვრას შუა.

– ნენსი, სადღაც თვალი მოვკარი პატარა ხაფანგებს. ხომ არ დამეხმარები, სად?

– კარადის ქვედა უჯრაშია. რამდენიმე დღის წინ მოიტანა გრეკმა. წრუწუნები შენიშნა სახლში და უნდა დაუგოს.

– ჩემი არ იყოს, მაგიც კარგი ქილერია. მკვდარი წრუწუნები სად მიაქვს ხოლმე გრეკს?

– სად უნდა წაიღოს, ნაგავში აგდებს.

– ხოდა ჩემს მსხვერპლსაც იგივე ბედი ეწევა ახლა, ამ წამში, – ვთქვი მე. მოვირგე ერთჯერადი ხელთათმანები, ხელზე დავისვენე წრუწუნა, „რექვიემის“ ფონზე დინჯად დავიძარი ნაგვის ვედროსკენ და მოწიწებით ჩავუშვი შიგ.

ნენსის სიცილი აუტყდა და სულ ციგანი მიძახა მაშინ.

– ვიცი, ნენსი, წუხელ არ დაგაძინა იმაზე ფიქრმა, საიდან მაქვს ინფორმაცია იმ ჯიბი-

დან გავრდნილი წვრილფეხა კრიმინალების შესახებ!

– ცუდად მეძინა, – გამომიტყდა ნენსი.

– ამ ერთი თვის წინ, რატმაინსზე ავტობუსის გაჩერებაზე ერთი ფერადკანიანი იდგა და ტრანსპორტიდან ჩამომსვლელებს ცხვირწინ უტრიალებდა. მე რომ ჩამოვდიოდი, ხელი მკრა და გვერდზე გამწია. ხან ფეხს ითრევდა, ხან ხელს აფართხალებდა, თავს კონტუზიანივით ვერ იმორჩილებდა თითქოს. შემებრალა, მაგრამ რატომღაც სიყალბედ მომეჩვენა ეს ყველაფერი. თქვენთან მოვდიოდი, არ მეჩქარებოდა და იქვე, გაჩერებაზე, მოსაცდელ მერხზე ჩამოვჯექი, ჩემი ინტუიცია რომ გადამემოწმებინა. დაიძრა თუ არა ავტობუსი, ბიჭს ყველანაირი „შებოჭილობა“ მოეხსნა, შეხედა ტაბლოს და მომდევნო 5 წუთი მზესუმზირით შეიქცია თავი. მოადგა შემდეგი ავტობუსი გაჩერებას და ბიჭი ისევ „ხეიბრად“ გადაიქცა და იგივე განმეორდა. დარწმუნებული ვარ, მთელი დღე ასე „მუშაობდა“.

ფეხი არ მოვიცვალე. მაინტერესებდა, მიმეგნო, მე რატომ მკრა ხელი. დიდხანს არ მიწვალია. მას ჩამოსულები, ანუ მიგრანტები, არ აინტერესებდა, ადგილობრივებზე მუშაობდა. დასკვნის გაკეთება არ იყო ძნელი. ბიჭი, ამ უბნის მცხოვრებლებს, თავს ერთ საწყალ ხეიბრად ამახსოვრებდა, რომელსაც კეთილი ირლანდიელები კარს ადვილად გაუღებდნენ და შინაც შეიწვევდნენ.... მათს სახლებს კი ინფორმაციებით დატ-

ვირთული დატოვებდა და სულ ფრენა-ფრენით წავიდოდა თავის ბოსებთან.

რამდენიმე დღის წინ მორტონის სუპერმარკეტში მივდიოდი, ვხედავ, 4-5 ფერადკანინი ბიჭი მოიჩქარის. მათ შორის არ არის ჩვენი ნაცნობი „ხეიბარა“?!

არც ვაციე, არც ვაცხელე, შევაჩერე ისინი და ვეუბნები:

– ბიჭებო, მეც თქვენსავით ჩამოსული ვარ. შარში ხართ და მენანებით! ეძებენ „ხეიბარას“ ჯგუფს, რომელიც ამ უბნელებზე რატმაინსზე, ავტობუსის გაჩერებაზე, „მუშაობს“. მე არ ვიცი თქვენ ეს გეხებათ თუ არა, მაგრამ იქნებ მათაც მიაწვდინოთ ხმა და ამ უბანს შეეშვათ. ადგილობრივი „კოლორიტიც“ ჩართულია საქმეში.

გენახა ნენსი, როგორ ჩამოუვარდათ ყბა და მომაჩერდნენ. შემდეგ რაღაც გადაულაპარაკეს ერთმანეთს თავიანთ ენაზე და ყველა სხვადასხვა მხარეს ჩქარი ნაბიჯებით გაუყვა გზას.

– შენ მე გადამრევ. არ შეგეშინდა?

– არა. მე 56-ისა ვარ უკვე. 56 სიკეთე თუ არა, 56 სისაძაგლე მაინც მინახავს ცხოვრებაში ჩემს ქვეყანაში. ვიცი, ამ კატეგორიას როგორ უნდა ააღებინო ხელი ჩანაფიქრზე. ეგენი, მითუმეტეს, პატარები არიან და ადვილად იშიფრებიან.

– ?!

– გინდა, გითხრა რა მოხდა პიტერის სახლში?

– როდის?

– აი, ავსტრალიაში რომ იყვნენ წასულები, ხომ მე ვცხოვრობდი მათს სახლში მთელი თვე? დღისით თქვენთან ვიყავი ხოლმე და საღამოს გადავდიოდი მაგათთან. გახსოვს? ესენი, „წვრილფეხობა“, ეტყობა, დღისით დაბორიალობს და აფიქსირებს სახლებს, სადაც არავინ ცხოვრობს.

ერთხელ, გვიან ღამემდე ვერ დავიძინე. შინაგანად რაღაცისთვის ვემზადებოდი. პიტერს წასვლის წინ რომ ვთხოვე, კიბის თავზე, შენს სამუშაო ოთახში, ვიცხოვრებ-მეთქი, ცოტა გაუკვირდა, მაგრამ ჩემმა კომენტარმა, ეს საუკეთესო სტრატეგიული წერტილია-მეთქი, დააკმაყოფილა.

და აი, ჩავთვლიმე ჩემს ციხე-სიმაგრეში და მესმის ფრთხილი ნაბიჯების ხმა. ელვის უსწრაფესად აღმოვჩნდი წინა საძინებელში, გავგლიჯე ფანჯარა და თავზე დავადექი კარებთან მდგარ სამ ფერადკანიანს, რომლებიც საკეტს უტრიალებდნენ.

– ჰა, რა გაგჭირვებიათ, ბიჭებო, – ჩამოვძახე რიხით და სამივე კისრისტეხით მოწყდა ადგილს.

– რატომ მაშინვე არ დარეკე ჩვენთან?

– გაქცეულები საშიშები არ არიან. არ მობრუნდებიან, ნენსი.

– მეორე დღეს მაინც გეთქვა.

– პიტერის გვერდით მაიკის მეგობრის ოჯახი ცხოვრობს. მეგონა, ისინი გეტყოდნენ.

– არა, მართლა, ღამე სხვის სახლში არ გეშინია?

– არა.

– რატომ?

– ხომ გითხარი, რომ უბრალოდ ხიფათს წინასწარ ვგრძნობ ხოლმე და ვცდილობ ავირიდო.

– ჩვენ, მგონი, მართლა ბედმა გაგვიღიმა, შენ რომ გვყავხარ!

– ჰო, ნამდვილად! – ავწიე ცხვირი მე და ნენსის თვალებში მივაჩერდი, საიდანაც სიმშვიდე, ნდობა და სიყვარული – ყველაფერი ერთად დაუფარავად იღვრებოდა.

.

თბილისში დაბრუნებულმა, ძალიან მალე ვიგრძენი, როგორი, აშკარად არაადეკვატური, უცნაური დამოკიდებულება აქვთ აქ, ზოგადად, მიგრანტების, და მით უფრო – ქართველი მიგრანტების, მიმართ. ეს არის დაცინვის (სხვისი შვილის გაზრდის თუ დახმარების მოტივით), გაკვირვების (ქართველისთვის შეუფერებელი ვერკადრების მოტივით), მათი ვერგარკვეულობის და ვერგაცნობიერებული მოტივების ერთად აღებული რაღაც ნაზავი. ამ დროს მხოლოდ სიბრალული გეუფლება ოპონენტის მიმართ, მისი, მაპატიეთ, გონებადაბინდულობის გამო და გინდა აუხსნა, უთხრა, გააგებინო, რომ არსად არანაირი შრომა ნამდვილად არაა უხერხული (სულ სხვაა, შრომის რომელი ფორმაა შენთვის უფრო კომფორტული). არც ის ქმნის უხერხულობას, თუკი, არსებული ნეპოტიზმისა თუ მძვინვარე კორუფციის გამო, შენს ქვეყა-

ნაში შენი ცოდნის რეალიზაციას ვერ ახერხებ, აიკრა გუდა-ნაბადი და დასახლდე ახალ ადგილას, სხვა ქვეყანაში, სადაც შენთვის მისაღებ რაღაც სამუშაოს, უკეთესი ანაზღაურებით, მაინც გამოკრავ ხელს.

მაგრამ გაიგებს კი? გააცნობიერებს? ან აქვს აზრი?

ამას წინათ, ერთი ქალბატონის გვერდით მოვხვდი დაბადების დღეზე, რომელიც 14 წლის შემდეგ, რამდენიმე კვირით, პირველად ჩამოვიდა საქართველოში. იუბილარმა, ოჯახის უფროსმა, რომელსაც წლების მანძილზე კარგი ურთიერთობა ჰქონდა ამ, ამჯერად მიგრანტ ქალბატონთან, მისადმი თავისი დადებითი განწყობის სადემონსტრაციოდ, დღეგრძელობისას ხელებგაშლილმა შეჰღიმა, მიკვირს, შენისთანა ქალბატონი სხვას როგორ ემსახურები, თანაც – ამდენი წლის განმავლობაშიო. მე ამას, ნამდვილად, ვერა, ვერ ვიკადრებ, მთლად მშიერი რომ მოვკვდეო. ამ ქალბატონის სახეზე ავარდნილმა ალმურმაც ვერ შეაჩერა თამადა და ის იყო, შეჰყვა მაღალფარდოვანი სადღეგრძელოს ბოლომდე ჩარახრახებას, თვალი მოვკარი, როგორ აზიდა სხეულის ზედა კორპუსი ამ ქალბატონმა და მივხვდი, როგორ მოავლო ხელი უხილავი ხანჯლის სადავეს და როგორი აუცილებელი იყო მისი განიარაღება, თორემ მათი წლობით ნაშენები ურთიერთობები, რაც გამოიხატებოდა მასპინძლის ოჯახის მიერ მისადმი, აფხაზე-

თიდან შვილებთან ერთად ოტებულისადმი, არა მხოლოდ თანაგრძნობით, არამედ რეალური თანადგომით, ხუხულასავით ჩამოიშლებოდა. ხელი მსუბუქად შევახე და ღიმილით გადავულაპარაკე, ნუ გეწყინება, გაზაფხულზე ინსულტი გადაიტანა. რეაბილიტაციის პერიოდი ხანგრძლივი პროცესია-მეთქი. ორგზის მიგრანტი ადვილად მიხვდა ჩემი გარჯის მიზანს, თავი ხელში აიყვანა და ლაღი სიცილით ხმალს ისევ ქარქაშში უკრა თავი.

ღიმილის მომგვრელია, ზოგადად, მიგრანტის ხსენებისას, ფილოსოფიურ ტირადას რომ მოჰყვებიან ხოლმე და ამ თემას მხრების აჩეჩვით ამთავრებენ, რანაირი ემიგრანტები არიან, ვერ გაგვიგია, წელიწადში ცხრაჯერ მაინც ჩამოდიან საქართველოშიო.

დიახ ბატონებო, ვეცდები ოდნავ მაინც გავფანტო ეს ბუნდოვანება. ემიგრაციასა და მიგრაციას შორის, ემიგრანტსა და მიგრანტს შორის ნამდვილად არის განსხვავება და რთული არ არის ამაში გარკვევა.

ემიგრაცია არის: 1. სამშობლოდან სხვა ქვეყანაში გადასახლება (პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა მიზეზებით), დასახლება; 2. სხვა ქვეყანაში ცხოვრება ასეთი გადასახლების შედეგად, ემიგრაციაში წასვლა.

ემიგრანტი არის: ემიგრაციაში მყოფი პირი.

2. მიგრაცია არის: ახალ ადგილას დასახლება, მიგრაცია; გადაფრენა.

მიგრანტი არის: ახალ ადგილას დასახლებული, ახალმოსახლე, ახალმოშენე; მიმომფრენი ფრინველი.

თუ დავუკვირდებით, ადვილად ვიპოვით განსხვავებას ამ ტერმინებს შორის.

ანუ: 1. ემიგრაციაში წასული პირი, იგივე ემიგრანტი, გადაიხვეწება უცხო ქვეყანაში უმეტესწილად პოლიტიკური მოტივით, ვინაიდან მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება საკუთარ ქვეყანაში და იქ არ დაედგომება. უცხო ქვეყანა ასეთ პირს შეიფარებს ქვეყანაში არსებული საემიგრაციო კანონების შესაბამისად. კაცობრიობის არსებობის მანძილზე ისტორიას, რამდენიც გნებავთ, იმდენი მაგალითი ახსოვს, ემიგრანტს თუ რა შემთხვევაში შეეძლო ან არ შეეძლო დაბრუნება თავის ქვეყანაში. ამიტომ იყო მათი მონატრება და სევდა ანგარიშგასაწევი! არ არის ადვილი, ცხოვრების თავიდან დაწყება უცხო ქვეყანაში!

2. მიგრანტი ახალ ადგილას დასახლებული პირია, რომელიც მიდის უცხო ქვეყანაში უმუშევრობის, უმეტესწილად, შეჭირვებული ყოფის გამო, რომ შეიმსუბუქოს ცხოვრება და მშიერმა არ გალიოს წუთისოფელი. ყურს არ უგდებს „შეგონებას“, ასეთი ცხოვრება დაგიწესაო უფალმა და უნდა შეეგუო, შენი ხვედრიაო.

მიდის და ამ კატეგორიის ადამიანებისთვის ლეგალური თუ არალეგალური „მოქმედი“ კანონების თანახმად, ცდილობს, შეეგუოს უცხო-

ურ ყოფას; იშოვოს სამუშაო, ან მოიპაროს, თუნდაც სხვას წაართვას და მოიპოვოს სარჩო; იბრძოლოს, რომ გადაირჩინოს და დაიმკვიდროს თავი უცხო ქვეყანაში.

მიგრაციაში წასვლა (იგულისხმება სხვა ქვეყანაში წასვლა, თორემ საკუთარ ქვეყანაშიც არსებობენ მიგრანტები) ეს არის ბრძოლის ველზე გაჭრა! დიახ, ბრძოლის ველზე გაჭრა საკუთარი სურვილით! ეს არის ბრძოლა, უფრო სწორად, ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა არსებობისთვის და მომდევნო თაობების უკეთესი მერმისისთვის. ბრძოლა, სავსე ინტრიგით, შურით, გაუტანლობით, სიცრუით, დაუნახაობით. სავსე ყველა იმ უარყოფითი თვისებებით, რომლებიც ადამიანის გაჩენის დღიდან მასში ჩასახლებულან და მიძინებულან, ელოდებიან, როდის დადგება მათი სამზეოზე გამოსვლის დრო. მიგრაციაში ყოფნის პირველი პერიოდი სწორედ ის პერიოდია, როცა ჰორიზონტზე სასიკეთო ვერაფერია გამოკვეთილი, მხოლოდ გაურკვევლობა და შიშია გამეფებული, ვაითუ ჩემმა გამბედაობამ ნაყოფი ვერ გამოიღოს და ჩემი იმედები და ოცნებები, რომლებიც ფრთებშესხმულს აქეთ მომაქანებდა, აქ დაიმარხოსო.

ეტყობა, ადამიანის ამ სისუსტეს ჩასაფრებულნი, გააქტიურების მათთვის ხელსაყრელ მომენტში ინსტინქტურად იშმუშნებიან, იზმორებიან, თავს აიშვებენ და აფუთფუთდებიან

ერთმანეთის მიყოლებით ის საძაგელი თვისებები, ადამიანებს სახეს რომ აკარგვინებენ და არაადამიანური, არათავმოსაწონი ქმედებებისკენ უბიძგებენ.

მერედა არ იკითხავთ, ვის მიმართ მოიწევენ აგრესიად ჩამოძერწილი ეს თვისებები? სწორედ იმათ წინააღმდეგ, ვისაც ისინი შეუმოსავთ, მათთვის ხელი გაუმართავთ, გვერდში დგომით შეუმსუბუქებიათ მიგრანტობის პირველი პერიოდისთვის დამახასიათებელი მათი არასახარბიელო ყოფა და უცდიათ, დახმარებოდნენ, ადვილად გაეფანტათ „უცხოდ ყოფნის“ დამაბნეველი შიში.

შემდგომი პერიოდი ამოსუნთქვის პერიოდია მიგრანტის ცხოვრებაში: ნელ-ნელა იფარება ვალები, ივსება ათი ათასი პირდაღებული ხვრელი შინ; შორს, ჰორიზონტზე, უკვე იკვეთება რაღაც-რაღაცის მიგნების და სასიკეთოდ მორგების იმედები.

და ვიღაცას აწუხებს შელახული იმიჯი, ვიღაც იხტიბარს არ იტეხს და კვლავინდებურად, ძველებურად, „გუგუნებს“. ვიღაცას უფლის შიში მოძალებია და ათეული წლის შემდეგ თუ უბიძგებს ნამუსი მეგობრებთან და კეთილისმყოფელებთან აწეწილი ურთიერთობების შესალამაზებლად. ვიღაცას ათწლეულებიც არ ჰყოფნის! და მიდიან დღეები „ნაბდით დაჭედილი ბედაურებივით“.

დუბლინურ სინამდვილეში მგონი, გურული

ერთადერთი იყო, ვისაც მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ ეწვია სინანული (?). დამირეკა, მომიბოდიშა და შემომჩივლა: დღეს ჩემს შვილიშვილს ახლა, ამ წუთებში, ოპერაციას უკეთებენ და როგორ მეშინიაო.

– რისი გეშინია, ხომ დაგეგმილი ოპერაციაა? – ვერ მივუხვდი მე.

– კი, დაგეგმილია, მაგრამ შენ ხომ ყველაფერს მაპატიებ!

– რომ არც მახსოვს, რა უნდა გაპატიო?

– მართლა არ გახსოვს? კაი აბა! – ჩაილაპარაკა კმაყოფილმა და მობილური დაუმშვიდობებლად გათიშა. ვინ იცის, რამდენი იდარდა შემდეგ, რამ დამარეკინა, თურმე წყენა აღარც ახსოვდაო...

აი, ასეც ხდება მიგრაციაში. მაგრამ ეს იქ, გაუცნობიერებელი, შინაგანი ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგია. აქ? რა ჭირთ აქ, ასე რომ ვერ იტანენ საზღვარგარეთ სამუშაოდ წასულ თანამემამულეებს, ეგრეთ წოდებულ მიგრანტებს? ვინ დაუშალა ვინმეს სადმე წასვლა და გადაკარგვა? თუ მართლა სირცხვილია მუხლჩაუხრელი შრომა?

მქონდა ასეთი შემთხვევა აქ, ჩვენს დედაქალაქში. ერთმა ნაცნობმა, რამდენჯერაც გადავაწყდი სხვადასხვა სიტუაციაში, იმდენჯერ ვითომ სხვათაშორის გამაგონა, მიგრანტებს „თეთრ ღერღეტებს“ ეძახიანო.

– თეთრი ღერღეტი რაღაა?

– როგორ არ იცი, ბატია! – მომიგო ნიშნისმოგებით.

რა თქმა უნდა, გავატარე, უფრო ხელსაყრელი მომენტის მოლოდინში. და აი, ამას წინათ, ისევ შემთხვევით რომ მოვიყარეთ თავი, კვლავ აიშვა თავი და წამკრა კბილი.

– მიგრანტების ხსენებისას რატომ მერცხლები არ გაგონდება ან ნებისმიერი სხვა ჩიტუნა? – ვატაკე უმოწყალოდ.

– ?!

– სიტყვა migrants-ის ერთ-ერთი მნიშვნელობა ნამდვილად „მიმომფრენი ფრინველია“, მაგრამ შენთან ეს სიტყვა რატომ ასოცირდება ღერღეტ-ბატთან, რომელიც სწორედ რომ არსადაც არ მიფრინავს თავის გადასარჩენად? გირჩევ, ხმამაღლა ნუ ამოთქვამ შენს განწყობას მიგრანტების მიმართ, არ გაპატიებენ! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ცუდი ტონია მეთქი, – მეტი არ ვუთხარი, შემებრალა რატომღაც.

მახსოვს, ერთ დღეს ირლანდიაში, მოსნიში ცხოვრების პერიოდში, მოსნის კაფეში შევედი და რაღაც ხმაური ატყდა, რომელიც მალე ერთი შავკანიანი ქალბატონის ისტერიკაში გადაიზარდა. დავინტერესდი მიზეზით.

თურმე, ნუ იტყვით, ამ ახალჩამოსულ ქალბატონს უკითხავს, სად არის აქ სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები განყოფილებაო. აუხსნეს, მაგრამ ვერ გააგები-

ნეს. მაშინ ერთმა, სამწუხაროდ, თეთრკანიანმა, ამოაცურა ჩანთიდან საემიგრაციო სამსახურის სამახსოვრო ბუკლეტი, აჩვენა ზედ ემბლემა, შავი მიმომფრენი ფრინველები, ნარნარად, გუნდურად რომ მიფრინავენ, და აუხსნა, ამ ტერიტორიაზე ასეთივე ემბლემას რომელ შენობაზეც დაინახავ, იმას მიადექიო. ამან სულ დაკარგვინა წონასწორობა ქალბატონს, მე არ მინდა სახლში დაბრუნება, ახლახან ჩამოვედიო. ან ეს შავი ფერი რაღაა, რატომ თეთრი ფერის ფრინველი არ ახატიაო. თქვენც ხომ ჩამოსულები ხართო?

„მიმომფრენი ფრინველებისთვის“, განურჩევლად რასისა, ყველასთვის ეს ერთადერთი ემბლემაა, დავამშვიდეთ. იმ კონკრეტულ მომენტში კი დამშვიდდა, მაგრამ ერთი წამით წარმოვიდგინოთ, რა სიკეთეს შეჰყრიდა თეთრკანიანებს ან თუნდაც საკუთარ თავს, ასე მეტოქეობაზე გაფაციცებული ქალბატონი.

ისე, კაცმა რომ თქვას (ალბათ თქვენც დამეთანხმებით), თავგანწირვითა და სიცოცხლის გაგრძელების ინსტიქტით, გადამფრენი ფრინველები უდიდეს საპატიო მისიას ასრულებენ თავიანთი სახეობის ფრინველების გადასარჩენად!

მამა მალხაზის სახელს უკავშირდება დუბ-ლინში მცხოვრები ქართველების ერთმანეთ-თან უფრო დაახლოება და მათთვის ამ პატარა ქვეყნის წარსულის ფერადი თუ შავ-თეთრი ფუ-რცლების აშრიალება.

იმ პერიოდში, იქ ჩასული ქართველებისთვის, ირლანდია, ინგლისის ხანგრძლივი მონობიდან გამოფორთხებული, მჩაგვრელ რეალობას ვერ შეგუებული, ორად გახლეჩილი, ქვეყანა იყო, სადაც მშვიდად შეიძლებოდა თავის შეფარება, და არა მარტო თავის შეფარება, არამედ მუშა-ობა და ცხოვრების მოწყობა. კიდევ, გაცილე-ბით მიმზიდველი, რაც ირლანდიისკენ ლტოლ-ვას აორმაგებდა, გახლდათ და გახლავთ ის, რომ შრომის ანაზღაურება იქ, ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, უფრო მაღლია. იგუ-ლისხმება სამუშაოს ის კატეგორიები, რითაც ჩვეულებრივ შესაძლებელია დასაქმდნენ არა-

ლეგალი მიგრანტები უცხო ქვეყანაში.

მამა მალხაზისთვის უცხო ნამდვილად არ იყო, არალეგალურად სამუშაოდ წასულთა ხვედრი, მათი ყოველდღიური ყოფა და სხვა ცხოვრებისეული პრობლემური წვრილმანები, რაც ადამიანის ფსიქიკას არაადეკვატურს ხდის და კიდევ უფრო უმძიმებს ყოველდღიურობას. მისი მისია იყო ის, რომ მივიწყებული ღმერთისთვის მიეახლოებინა ისინი და გაეფანტა მათთვის რეალური თუ არარეალური კოშმარები, რასაც თვითონ ვერ უმკლავდებოდნენ.

თავდაპირველად, მხოლოდ რამდენიმე მიგრანტმა (თუ ემიგრანტმა, როგორც გენებოთ) მოიყარა თავი წირვაზე დასასწრებად, დუბლინის ერთ-ერთი სასტუმროს (როგორც უკვე ერთხელ აღვნიშნე) მიერ გამოყოფილ ოთახში. შემდეგ, როგორც ხდება ხოლმე, თანდათან გაჩნდა ინტერესი ჯერ მამა მალხაზის პიროვნების, შემდგომ – მისი მღვდელმსახურების მიმართ. მალე გაჩნდა ეპითეტები: კარგი! პატიოსანი! უღალატო! ამან ადვილად გაკვალა კვირაობით წირვაზე წასასვლელი ბილიკები. წირვის შემდეგ ტრაპეზობის ორგანიზებას, მისთვის ჩვეული ენთუზიაზმითა და უშურველობით, ქუთაისელი მანანა (ჟორჟოლიანი) და მისი ოჯახი ჩაუდგა სათავეში. ყველას უხაროდა მამა მალხაზთან ტრაპეზობა და დაახლოება. ასეთი სიახლოვე არა ერთი კარგი საქმის საწყისი გახდა. მრევლს გულკეთილობის, მიმტევებლობისა და

სწორად აზროვნების გაკვეთილებს უტარებდა თითქოს მამა მალხაზი. მალე დუბლინის სინამდვილეში გამოინახა შენობა და არსებობა დაიწყო ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ. ცოტა მოგვიანებით ეკლესიის შენობაში ბინა დაიდო ქართულმა საკვირაო სკოლამ.

ვიკენდებზე დუბლინის მიმდებარე ტერიტორიების დათვალიერება და გაცნობაც ითავა დაუღალავმა მოძღვარმა. შემდგომ კი, მთელი ირლანდიის მასშტაბით, უფრო გააფართოვა ტურმაპი.

როგორი ქანცგაცლილები, მაგრამ აღფრთოვანებულები ბრუნდებოდნენ ხოლმე გოგონები ნებისმიერი ტურიდან, სულ ახალ-ახალი აღმოჩენებით....

სხვანაირად ან როგორ შეიძლებოდა!

როცა ირლანდიის ველურ ატლანტიკის სანაპიროზე, კლერის საგრაფოში მდებარე, იუნესკოს მიერ მეშვიდე საოცრებად აღიარებულ „მოჰერის კლდეებზე“ შემომდგარი, 214 მეტრის სიმაღლიდან სუნთქვაშეკრული შეჰყურებ ატლანტიკის ოკეანის თეატრალურ სანახაობას, იდუმალი მუსიკის ფონზე. როცა გამუნჯებს ფერთა არამიწიერი რიალი, სივრცე, სიმაღლე, გაურკვევლობა ...

როცა სანახაობით ტკბობის პარალელურად, ამის შემყურეს, მოსვენებას არ გაძლევს რაღაც უცნაური გრძნობა, რომელიც გაფორიაქებს და გულს საგულედან ამოვარდნით ემუქრე-

ბა. მე არ ვიცი, რა ჰქვია ამ გრძნობას. არ მინდა ეს იყოს შიში, არც უიმედობა, არც ის, რომ „ბინდისფერია სოფელი“. არა, ეს სხვაა, რაღაც სხვა! მერე სიანცე გიპყრობს! იმდენად დიდია სურვილი იმისა, შეიტყო, რა ხდება ქვემოთ, უშუალოდ კლდის ძირას, რომ მოცელილივით დავარდები მიწაზე, ფრთხილი ხოხვით კლდის კიდეს ეწებები, გაბედულება გაქეზებს, უფრო იქით – ნიკაპამდე გაცურდე და .... ხედავ, როგორ ნაზად ეხვევა ოკეანე კლდის ძირს, შეფარვით კოცნის და მარადიულობას ეფიცება. ცოცხალი მოწმეები, ამ ყველაფრისა, წყალსა და ჰაერში დასრიალებენ: ლურჯი დელფინები ღიმილს ვერ იკავებენ; მოზეიმე ჩიტუნები თვალებს გაკვირვებით აკვარკვალებენ! შენ? შენ ხან ამოტრიალდები და ზეცას შეჰყურებ იმავე ფერებში მოცურავეს, ან ისევ პირქვე ჩააშტერდები ქვევით წყალს. გინდა გაეკვე: ეს ოკეანე აყირავდა თუ ზეცა ჩამოეშვა ქვევით! თუ ორივე ერთად გეთამაშება და გაბნევს! დაღლილი, წამიერი შესვენების უფლებას აძლევ თავს და მორიგ სიურპრიზს აწყდები! კლდის მთელ კიდეზე გაწოლილან მნახველები, შენსავით, ნაპირზე გამორიყული თევზებივით სხმარტალებენ და პირდაღებული უშტერებენ თვალს ხან ზეცას, ხან ოკეანეს...

პირველივე ნახვისთანავე უკვე გიყვარს ეს სახიფათო კლდეები, რომლებიც რვა კილომეტრის სიგრძეზე გასდევენ ატლანტიკის სანა-

პიროს კლერის საგრაფოს გასწვრივ და რომ-ლებიც მუდმივად გიწვევენ კიდევ მიხვიდე, კი-დევ ნახო, კიდევ განიცადო ეს დიდებულება და სილამაზე! დატკბე ხელის გულზე გადაშლილი გოლუეის ყურესა და არანის კუნძულის ველუ-რი ხედებით!

ან თუნდაც:

ველურ ატლანტიკის გზა აქედან ირლანდი-ის ერთ-ერთ საგანძურს – ბურენს და ბურენის ეროვნულ პარკს რომ მიგაყენებს! ბურენი ქვი-ან ადგილს ნიშნავს. ბუნებრივი წარმოშობის კირქვის გიგანტური ფილები კი რუხი ფერის საოცარ „„მთვარის შუქის პეიზაჟს“ ქმნიან და ხელახლა გატყვევებენ...

ამ კირქვის ფილებს უნიკალური თვისება აქვთ: ისინი მზის სითბოს „ყლაპავენ“ და ხან-გრძლივად ინარჩუნებენ, ხოლო ზამთარში ამ სითბოს ნელ-ნელა გასცემენ, რის წყალობითაც ფილებს შორის უწყვეტად, მთელი წლის განმა-ვლობაში იზრდება მცენარეულობა და „აყვავე-ბული ქვების“ შთაბეჭდილებას ქმნის.

ზუსტი ცნობები არ მოიპოვება, თუ როდის გაჩნდა აქ პირველად მოსახლეობა, მაგრამ სწორედ ამ კირქვის ფილების უნიკალურობა ანუ ბუნებრივი სითბოს გამოყოფის თვისება, უწყვეტი საძოვრის არსებობას განაპირობებდა და უდაოდ განსაზღვრავდა ლტოლვას ამ რეგი-ონისადმი. ბურენის პირველი მიწათმოქმედე-ბის მიერ დატოვებული კვალი, ჩვენამდე მოღ-

წეული, გახლავთ მეგალითური (ნეოლითური ხანის, 4 200- 2900 წწ. ჩვ.წ) საფლავები.

ბურენის ერთი ნაწილი დათმობილი აქვს ეროვნულ პარკს, რომელიც მართალია ყველაზე პატარაა ირლანდიის ექვს ეროვნულ პარკთაგან, მაგრამ გამორჩეულია თავისი უნიკალურობით. აქ ორქიდეებისა და მინდვრის ყვავილების ასობით ნაირსახეობა ჰყვავის, ირლანდიის ველური ყვავილების 75%. დიდ ხანს იწვევდა მსოფლიო მასშტაბის ცნობილი ბოტანიკოსების გაოცებას ის ფაქტი, რომ ირლანდიის ამ პატარა კუთხეში შერეულად ხარობს არქტიკული, ალპური და ხმელთაშუაზღვის მცენარეები. ფლორის ნაირსახეობას არც ფაუნა ჩამორჩება! რომ არაფერი ვთქვათ ცხოველებსა და ფრინველებზე, მარტო პეპლების 28, მათ შორის უიშვიათესი სახეობა დაუთვლიათ აქ.

ოლივერ კრომველს ეკუთვნის ის ცნობილი ფრაზა, რომელიც მან ბურენის ნახვისას შემცბარმა ამოთქვა: ამ რეგიონში წყალი არაა, კაცის დახრჩობა რომ მოგინდეს, არც ხეა, რომ ხეზე ჩამოკიდო და ჩამოახრჩო, არც მიწაა, რომ დამარხოო! ეს ის ოლივერ კრომველია, რომელიც ირლანდიაში კათოლიკების გენოციდის გამო შეიძულეს ირლანდიელებმა.

როცა ველური ატლანტიკის გზა, ბურენის შემდეგ, შუასაუკუნეების ისტორიულ, თავისუფალ, არტისტულ და ბოჰემურ ქალაქ გოლუეიში შეგიყვანს, რომელსაც ყველაზე „ირლანდიურ

ქალაქს“ უწოდებენ, ძალაუნებურად ცდილობ ფრთხილად და მოწიწებით ისუნთქო, რადგან აქ მოსახლეობის 67-% ირლანდიურ ენაზე ლაპარაკობს. სწორედ გოლუეის საგრაფოში ცეცხლის პირას მოყოლილმა და თაობიდან თაობაზე ამ გზით შემორჩენილმა „ირლანდიურმა რაინდულმა ამბებმა“ მოახდინეს საოცრება ირლანდიელის ეროვნული ცნობიერების გამოფხიზლებაში, რამაც ერს დამოუკიდებლობა მოუტანა.

ასევე ძნელია მოერიო განცდებს სკელიგ-მაიკლის კუნძულის იდუმალებით მოხიბლულმა, რომელიც ირლანდიის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროს – კერის საგრაფოდან 12,8 კმ დაშორებით 230 მეტრ სიმაღლემდე ამოზიდულა ატლანტიკის ოკეანიდან.

აღმოსავლური ქვეყნებისგან განსხვავებით, ირლანდიელი ასკეტები და ბერები პატარა, სახელდახელოდ აგებული ნავებით დაადგებოდნენ თურმე სახიფათო გზას რაც შეიძლება ღრმად ატლანტიკის ოკეანეში მდებარე კუნძულებისკენ. სკელიგ-მაიკლის შიშველ კლდის კალთებზე სრულად შემორჩენილია, მეშვიდე საუკუნეში დაარსებული ქრისტიანული მონასტერი, რომელიც მომდევნო 600 წლის მანძილზე გახლდათ ირლანდიის სამონასტრო ცხოვრების ცენტრი (სავარაუდოდ XII-XIII საუკუნეების ჩათვლით). ვინ იცის რამდენი დრო და ჯაფა დასჭირდა, ბერების მიერ, ცისკენ მიმავალ ციცაბო კლდეზე 670 ქვის საფეხურის გამოკვე-

თას, ექვსი გუმბათის ფორმის საცხოვრებელი ქოხის, ორი ნავისფორმის კაპელისა და წმინდა მიქაელის ეკლესიის აგებას.

2003 წლიდან ეს მონასტერიც იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი.

სკელიგ-მაიკლის ამ იდუმალმა კუნძულმა არა ერთი მსოფლიო დონის კინო რეჟისორი „აიძულა“ შესაფერისი ადგილი მოენახა და მიეჩინა მისთვის, თავის ქმნილებებში. გამოვყოფ ბოლო პერიოდის, „ვარსკვლავური ომების“ მეშვიდე ეპიზოდის, „ძალის გამოღვიძების“ და „უკანასკნელი ჯედაის“ სცენებს.

სკელიგ-მაიკლის კუნძულამდე მიღწევამდე, გვერდი უნდა აუქციო პაწაწინა კუნძულებს. ერთი მათგანი „პატარა სკელიგი“ (პატარა კლდე) ფრინველების კუნძული გახლავთ, სადაც მხოლოდ ნაირნაირი სახეობის ზღვის ფრინველები ბინადრობენ. მართლა საოცარი გრძნობა გეუფლება ფრინველებით დაფარულ კლდე-კუნძულს რომ უყურებ. ალბათ ვერსად ნახავთ ამდენ ზღვის ფრინველს ერთად თავმოყრილს!

ხოლო, როცა მითის საგრაფოში, მდინარე ბოინის ხეობაში მდებარე, იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კიდევ ერთ ძეგლს 1993 წლიდან, ბრუ-ნა-ბოინის არქეოლოგიურ ანსამბლს ათვალიერებ, რომელიც ევროპის უდიდესი და ყველაზე მნიშვნელოვანი მეგალითური კომპლექსია და ძვ. წ. 35-ე 32-ე საუკუნეებით დათარიღებულ ნეოლითურ აკლდამებს, მეგალითე-

ბს, ჰენჯებს და სხვა პრეისტორიულ ნაშთებს შეიცავს (ანუ უფრო ძველია, ვიდრე ეგვიპტის პირამიდები) და აგებულია სხვადასხვა მეცნიერებისა და მათ შორის ასტრონომიის ცოდნის გათვალისწინებით, უკვე თავგზა გებნევა!

ან თუნდაც: ჩრდილოეთ ირლანდიაში, ანტრიმის საგრაფოში მდებარე, „გოლიათების დამბად“, იგივე „გოლიათების გზად“ წოდებული ბუნების საოცრება, რომელიც ვულკანური ამოფრქვევის შედეგად წარმოშობილ 40 000 ერთმანეთზე მწყობრად მიჯრილ ბაზალტის სვეტს მოიცავს. მეცნიერული დასაბუთებით, ეს, ბაზალტის სვეტების ფორმის კლდე, დაახლოებით 60 მილიონი წლის წინ ინტენსიური ვულკანური ამოფრქვევების შედეგად ჩამოქნილა და თავისი ველური სილამაზით აღტაცებაში მოჰყავს მნახველი.

მითოლოგიური ვერსიის თანახმად კი, სვეტების ეს გროვა, რომელიც 5 კილომეტრზე გასდევს ნაპირს, წარმოადგენს ცნობილი ირლანდიელი გმირის ფიონ მაკკოლის მიერ აგებული გზის ნარჩენებს. ლეგენდა გვიამბობს, რომ გოლიათმა ფიონმა ეს მაშინ ააგო, როცა მისმა შოტლანდიელმა მოძმემ, ასევე უძლეველმა გოლიათმა ანგუსმა, დუელში გაიწვიაო.

ირლანდიელების არ იყოს, შენც ორივე ვერსიის გჯერა!

როცა მოწოდებული ინფორმაციის ბოლო პასაჟს აცნობიერებ, რომ ეს ტერიტორია, რო-

მელიც იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში 1986 წელს შევიდა და 1987 წლიდან ბუ-ნებრივ ნაკრძალად გამოცხადდა და რომ ის ინგლისის გაერთიანებული სამეფოს მეოთხე ბუნებრივ საოცრებად ითვლება, ყელში ბურთი გაწვება და ლამის დაგახრჩოს.

თუ არ ვცდები, მგონი ვიკინგმა დამპყრო-ბლებმა აღიარეს, ირლანდია ჩვენ კი არ დაგვი-პყრია, თვითონ დაგვიპყროო! მართლაც რა მი-უტევებელი ჟესტია, როცა ცოტა წუწკი ხასია-თი გაქვს და გინდა შენი იყოს და მხოლოდ შენ გეკუთვნოდეს ყველაფერი, რაც თვალს გტაცე-ბს და გატყვევებს!

მიწის ყოველი მტაკაველი ირლანდიის წყლი-სა და მიწის გასაყარზე, დამბალია ირლანდიელ მებრძოლთა სისხლით. ყოველ შუქურას, კოშკს თუ ნაგებობას, სანაპირო ზოლის გაყოლებაზე, თავისი ისტორია აქვს. აქ მტერი მუდამ წყლიდან ცდილობდა შემოჭრას, ადგილობრივთა განია-რაღებას და დაპყრობას. უმამაცესი მეომრები აკავებდნენ მათ სიცოცხლის ფასად. ხან ერთი მხარე სძლევდა, ხან მეორე. და ასე გრძელდე-ბოდა უსასრულოდ... ხოლო მარცხი წყალს, ამ კეთილშობილ სითხეს არასდროს ბრალდებოდა!

ირლანდიელებს ძალიან უყვართ წყალი. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ უყვართ რო-გორც სულდგმული მეგობარი, როგორც ადა-მიანი, თავისი კარგი და ცუდი თვისებებით. მერე რა, რომ გაუცნობიერებლად ღიზიანდე-

ბა! რა მოხდა, რომ ადამიანივით ჩვევად ექცა, შენი ადვილად გაწირვა და დამორჩილება! განა მას სიამოვნებს, როცა ბოროტო სურვილების მონა ხდება! რას იზამ, ეს ხომ მისი გენეტიკური თვისებებია... მთავარი სულ სხვა რამეა! ყოველთვის გახსოვდეს, რომ მასზე ძლიერი ხარ! აგრძნობინო, რომ არც შენ დარჩები ვალში და გაწირავ, თუკი ეს აუცილებლობით იქნება გამოწვეული! რომ საკუთრებად გაიხდი და შენს სამსახურში ჩააყენებ, თუ საქმემ მოითხოვა! რომ სახეს დააკარგვინებ!

ანგარიშს რომ უწევენ ამ სასიცოცხლოდ აუცილებელი სითხის ძალას და ძლიერებას, ამიტომაც მიჰყავთ ირლანდიელებს თავიანთი პაწაწინა, ფეხაუდგმელი შვილები საცურაო აუზებში და პატარაობიდან ასწავლიან ცურვას. შემდეგ თანდათან უნვითარებენ ინტერესს სწრაფი ცურვისადმი; ამის შემდგომი ეტაპია: მთავარი, რა ხანგრძლივობით შეძლებენ ცურვას შესვენების გარეშე ან შესვენებებით; უფრო მთავარი – რამდენი ხანი შეუძლიათ დაჰყონ წყალში და წყლის ქვეშ და ყველაზე მთავარი – ბავშვობიდან აზიარონ, შეაყვარონ და შეასისხლხორცონ მათ ეს ხელოვნება. უდაოა, ეს ყველაფერი, პირველ რიგში ჯანმრთელობას ემსახურება, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანს ალბათ: რომ ყოველთვის გამარჯვებულის პოზიციაზე იდგნენ, როცა გაგულისებული წყალი ომს გამოუცხადებს მათ....

– შეიძლება თქვენს სალონში შემოვიდე ნენსი? ინტერნეტ სივრცეში სერფინგმა უცნობ აისბერგს მიმაჯახა და ვერ ვითმენ! – მოულოდნელად კარზე მოგვადგა მაიკლი ყოველგვარი პროტოკოლის გათვალისწინების გარეშე.

– შემოდი! ჰა, რა ხდება? ოღონდ ამოისუნთქე და ისე გვითხარი! – ღიმილს ვერ იკავებს ნენსი.

– იცი რა ერქვა ირლანდიას უძველეს ხანაში? – ახლა ჩემკენ შემობრუნდა აღგზნებული მაიკლი.

– Hibernia.

– მერე?

– ასე ერქვა ირლანდიის კუნძულს კლასიკურ ლათინურ ენაზე!

– საქართველოს? საქართველოს რა ერქვა უადრეს ხანაში?

– იბერია. ძვ. წ. მესამე და ახ.წ. მეექვსე საუკუნეებში. ეს ტერმინი ელინისტურ ხანაში, ბერ-

ძნულ-რომაულ გარემოში გაჩნდა.

– მერე რატომ ხარ ჩუმად? რატომ არ მითხარი?

– აბა რა უნდა მეთქვა მაიკლ? ბერძნებმა თუ რატომ შეარქვეს საქართველოს – იბერია, ან იგივე სახელი – პირენეის ნახევარკუნძულს და ირლანდიას?

– და გინდა თქვა, რომ ეს არაფერზე მეტყველებს?

– შეიძლება გაცილებით მეტს, ვიდრე ის, რაც ახლა შენ ასე ძალიან გაღელვებს, მაგრამ კვლევა, ისტორიული წყროების უქონლობის გამო, ამის იქით ვერ მიდის! გაცილებით საინტერესო მე მეორე მომენტი უფრო მგონია!

– რომელი?

– თუნდაც ირლანდიის ისტორია, რომლის უძველესი ხანა დაკავშირებულია ევროპის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში მცხოვრები ხალხის, კელტების ექსპანსიასთან.

– ადრეულ, წინაისტორიულ ხანაში კელტები, მონათესავე ენებისა და კულტურის მქონე ინდოევროპული წარმოშობის ტომები, წარმოადგენდნენ ძლიერ, გავრცელებულ ეროვნებას, – არ დაიხია უკან მაიკლმა და უცებ მოერგო საკითხს.

– რომლებიც უაღრესად გაძლიერდნენ *ლა ტენის* კულტურის განვითარების პერიოდში (500 წ. ქრისტემდე და პირველი წელი ქრისტეს შემდეგ) და რასაც მათი დიდი ექსპანსია მოჰყვა მთელს ევროპაში და მცირე აზიაში. მეცნიერე-

ბი კელტების ძლიერებას მიაწერენ მეტალურგიის მაღალ განვითარებას, რკინის წარმოებას. – შთაგონებით ამოთქვა ნენსიმ.

– ქრისტემდე მესამე საუკუნე ყოფილა კელტური ექსპანსიის მძლავრი დასაწყისი. ამ დროისთვის მათ დაუკავებიათ საფრანგეთის ხმელთაშუა ზღვის სანაპირო და ესპანეთი. აქ მომხდარა მათი შერევა ადგილობრივ იბერიელებთან. სწორედ აქედან არის წარმომდგარი სახელწოდება „კელტ-იბერები!“ – ამოვაცურე ტუზიანი კარტების დასტიდან.

ავედევნოთ კელტების მარშს: შემდეგ ისინი გადადიან იტალიაში, შვეიცარიაში, ამარცხებენ ეტრუსკებს, იღებენ რომს (390 წ ქრისტემდე); გადადიან ბალკანებზე, იპყრობენ თრაკიას, შედიან მცირე აზიაში, გზას აღმოსავლეთისკენ აგრძელებენ და შედიან კოლხეთში, გაივლიან შავი ზღვის მთელ სანაპიროს და შედიან სკვითეთში აზოვის ზღვამდე და შეერევიან სკვითებს.

თუ გავითვალისწინებთ მაშინდელ ტექნიკისა და გადაადგილების საშუალებებს და მათ პარალელურად, კელტების სავარაუდო ინტერესს ადგილობრივი ხალხებთან ვაჭრობის მიმართ, მათი ნაწილი ყოველთვის რჩებოდა დაპყრობილ ადგილზე. იგივე მოხდებოდა იმჟამინდელ საქართველოშიც და კელტური მოსახლეობის ნაწილი შეერეოდა იმჟამინდელი საქართველოს მოსახლეობას.

მივხედოთ დასავლეთს. კელტებმა დასავლე-

თისკენ ილაშქრეს ბრიტანეთის კუნძულებამდე. ესენი იყვნენ ბრიტონები და გოიდელები. ბრიტონელები დაფუძნებულან ინგლისსა და უელსში, ხოლო გოიდელები დაახლოებით მე-4 საუკუნეში ქრისტემდე – ირლანდიაში, სადაც სულ მალე მმართველი კასტის პოზიცია დაუკავებიათ.

– ნამდვილად ასეა. კელტები თავიანთი ძლიერების ზენიტში მუდმივად აწარმოებდნენ ბრძოლებს, ითვისებდნენ ახალ ტერიტორიებს და უკვე აღორძინების ხანაში მათი სამფლობელოები ნახევარ ევროპას, ბრიტანეთსა და მცირე აზიას მოიცავდა! ბუნებრივია ხდებოდა მათი კულტურის აღრევა სხვა ტომების (იბერები, რომაელების, გერმანელების და ა.შ.) კულტურაში. ისე კელტური კულტურა უმეტესად რომაულისა და ბერძნულის ერთგვარი მოდიფიცირებული და განვითარებული ნაზავია თურმე. – დააკონკრეტა ნენსიმ.

კელტურ ხელოვნებაში შემდგომ კარგად განვითარებულა მეტალზე ორნამენტის ამოტვიფრის ტექნიკა, მოგვიანებით კი რელიეფური და კომბინირებული მოზაიკითა და ემალით. ასევე განვითარებულა კელტური სამკაულები (ორნამეტული სმაჯურები, გულსაბნევები, ოქროსა და ბრინჯაოს ბალთები, ქამრები).

ჩვ. წ. პირველი საუკუნიდან გავრცელებულა კელტების მიერ შექმნილი კერამიკის, შუშისა და ბრინჯაოს ნაკეთობები, ასევე საკულტო არქიტექტურა და ქანდაკებები. კელტები ასევე

გავლენას ახდენდნენ შუა საუკუნეების კულ-ტურულ განვითარებაზეც. ასევე დიდია ძველი კელტური თქმულებების როლი შუასაუკუნეთა ევროპული ლიტერატურის განვითარებაში. რა-ინდულ რომანებში თითქმის ყველა ძირითადი პერსონაჟი და მოტივი კელტური თქმულებები-დან იღებს სათავეს, – ვერ ჩერდებოდა აზარტში შესული ნენსი.

– ჩვენს წელთაღრიცხვამდე 232 წელს კელ-ტებსა და რომაელებს შორის გაჩაღებულ ომში კელტებმა პირველად იგემეს მარცხი და თით-ქოს დაენათლათო, შემდგომ მარცხს ძნელად უსხლტებოდნენ ხელიდან.

ბრიტანეთის კუნძულებზე კელტები ძვ.წ. V-IV საუკუნეებში გამოჩენილან. და რომის აღზევებასთან ერთად, სწორედ ბრიტანეთის კუნძულები და ბრიტანის პროვინცია აღმოჩ-ნდა კელტებისთვის უფრო უსაფრთხო ადგილი. ხოლო როცა რომაელები ინგლისს მისწვდნენ, კელტებთან მათმა სისტემატურმა შეხლა – შე-მოხლამ განაპირობა მათ მიერ სამხრეთ ბრიტა-ნეთის დაპყრობა და მათი კუთვნილი საზღვრე-ბი ამ კუნძულებზე.

ჩვ. წ. I საუკუნეში კელტების საცხოვრებელი არეალი უკვე მხოლოდ ბრიტანეთით და მისი „პერიფერიებით“ – ირლანდიით, უელსითა და შოტლანდიით შემოიფარგლებოდა. ამ სამ ქვე-ყანაში არასოდეს შეწყვეტილა კელტთა არსე-ბობა. ირლანდიელთა უმეტესობა ამიტომაც

მიიჩნევს, რომ მათ კელტური ფესვები აქვთ. დღესდღეობით ირლანდიის, შოტლანდიისა და ბრეტანის მკვიდრების ნაწილი კელტურ დიალექტზე საუბრობს, – კრიალოსანს კიდევ ერთი მარცვალი შევმატე მეც.

– ირლანდიის უადრესი მკვიდრები იყვნენ „პიქტები“ და ამ ორი ეთნიური ერთეულისგან (პიქტებისა და კელტების) წარმომდგარა შემდგომ ირლანდიური მოსახლეობა! – ფრთხილად ჩაჭრა მაიკლმა.

– ისე, კაცმა რომ თქვას, „პიქტებიც“ ენათესავებოდნენ ძველ იბერებს, მაიკლ! მაგრამ არ გვინდა ძალიან შორს წასვლა, – სწრაფად მოვთოკე თავი.

დასაბუთებულია, რომ კელტური ენა, რომელზედაც ლაპარაკობდნენ ირლანდიაში უხსოვარი დროიდან, იწოდებოდა სწორედ „გაელიკურად“ ან „გოიდელიკურად“, რაც ნიშნავდა „ირლანდიელს“. ბრიტონული ენები კი წარმოადგენენ ამ ენის მონათესავე ენებს. ალფაბეტის (ოღამის) უძველესი ნიმუშებია IV, V საუკუნის საფლავთა წარწერები. VI საუკუნეში კი გავრცელდა ლათინური ალფაბეტი, რომელიც რომის მისიონერებმა შემოიტანეს. VIII, IX საუკუნეებიდან უკვე შემორჩენილია მანუსკრიპტები, რომელთა ენა მიღებულია ძველ ირლანდიურ ენად. ირლანდიური ენა ერთ-ერთი უძველესი ენაა.

– საქართველოში იცნობენ ირლანდიას? მის კულტურას და ლიტერატურას? – გაფანტა სი-

ჩუმე მაიკლმა.

– დაგაბნიო, თუ არ დაგაბნიო მაიკლ? – დავიჯღანე და თვალებში მივაჩერდი მაიკლს.

– ?!

– ჯერ განვმარტავ რას ვგულისხმობ „დაბნევაში“. ეს ნამდვილი ამბავია. ერთხელ ზაფხულში, გასულ საუკუნეში, ცნობილი ქართველი მწერალი, ალექსანდრე ყაზბეგი მთაში, საძოვარზე ცხვრების მწყემსვისას გადაეყარა გზაარეულ ფრანგებს, რომლებმაც კომუნიკაცია ბუნებრივია ფრანგულად სცადეს მწყემსთან. ყაზბეგის პასუხმა თავანკარა ფრანგულ ენაზე თურმე გაახარა მთის სტუმრები. ხოლო როცა დაინტერესდნენ და ჰკითხეს, აქ, ამ მთაში ფრანგული როგორ ისწავლეო, ყაზბეგის პასუხზე, ყველა ქართველი ფრანგულად ლაპარაკობსო, ლამის ყბა ჩაუვარდათ დაბნეულობისგან.

არ დაგაბნევ და არ გეტყვი, რომ ყველა ქართველმა ზედმიწევნით იცის, თუ როგორ სუნთქავს ირლანდია, მაგრამ ვეცდები რეალურად აგიხსნა.

ადრე არ იყო ასეთი ტექნოლოგიები, სურვილის შემთხვევაში, კლავიშზე თითის დაწკაპუნებით რომ შეიძლება ზღვა ინფორმაციის მოპოვება ნებისმიერი ქვეყნის შესახებ, ნებისმიერ საკითხზე.

ჩემმა თაობამ ირლანდიის კუნძულის არსებობა, თავისი საზღვრებით, გეოგრაფიის სახელმძღვანელოდან შეიტყო. ჩემთვის პირადად

ირლანდიურ ლიტერატურასთან პირველი შეხება დაიწყო ჯეიმზ ჯოისის „დუბლინელებით“, რომელიც ჩემი სოფლის მაღაზიაში შევიძინე და რომელსაც ჯერაც სტამბის სურნელი ასდიოდა. ეს იყო ნახევარი საუკუნის წინ.

ისტორიის მეცნიერების უმაღლესი საფეხურის შესწავლისას სავალდებულოა ჩვენი პლანეტის ქვეყნების ისტორიის შესწავლა და ანალიზი. ფილოლოგებისთვის – მწერლობისა და ლიტერატურის შესწავლა და ანალიზი. წარჩინებულებმა, შესაბამისად, ჩინებულად იციან შესასწავლი ქვეყნის ისტორია, მწერლობა, ლიტერატურა, კულტურა და ა.შ. არაწარჩინებულები ჩვეულებრივ მოიკოჭლებენ ხოლმე ცოდნის სიღრმეში.

ჩვენთან საქართველოში უყვართ ჯეიმზ ჯოისი, უილიამ ბათლერ იეიტსი, ოსკარ უაილდი, ბერნარდ შოუ, ბრამ სტოკერი, სამუელ ბეკეტი, ჯონათან სვიფტი. მათი არა ერთი ნაწარმოებია თარგმნილი ქართულ ენაზე, მაგრამ ეს ცოტაა. თქვენ გაცილებით მეტი საინტერესო მწერლები და პოეტები გყავთ.

მახსოვს „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი ბატონი ზვიად გამსახურდია, მეცნიერი, მწერალი, მთარგმნელი, პოლიტიკოსი, დისიდენტი, საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, შემდგომში უკვე დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი,

საქართველოს ეროვნული გმირი, საპროტესტო მიტინგებს რომ ატარებდა, ხაზს უსვამდა და აგულიანებდა ხალხს, ნუ უფრთხით რუსეთის იმპერიას, ჩვენისთანა პატარა ქვეყანამ, ირლანდიამ, გაცილებით ხანგრძლივი მონობისგან გაითავისუფლა თავი ინგლისის იმპერიისგან, მთავარია ნუ შეეგუებით ამგვარ ყოფასო და ირლანდია და მისი დამოუკიდებლობისთვის შეუპოვრად მებრძოლი ლიდერები და ხალხი მოჰყავდა მაგალითად.

– ჩვენ ირლანდიელები ვართ! – თითქმის ერთხმად სიამაყით აღმოხდათ თვაალებგაბრწყინებულ ნენსისა და მაიკლს.

–კი, ნამდვილად ამაყი „კელტური ვეფხვები“ ხართ, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ირლანდიის არსებობაშიც ღვთის ხელი ურევია!

– ვითომ რატომ?

– მაშინ, როცა შვიდი საუკუნე გრძელდებოდა ინგლისის მიერ ირლანდიის დამორჩილებულ სამეფოში კოლონიზებული მოსახლეობის დევნა და შევიწროება და ინგლისის მეფის ძლიერება და ძალაუფლებით ტკბობა, როცა ზეწოლის შედეგად სახედაკარგულ და წარსულდავიწყებულ ირლანდიელებს არც ენა, არც მამული და თითქმის აღარც სარწმუნოება შერჩათ, როცა პოლიტიკური თვალსაზრისით ნულის ტოლი იყო ირლანდიელების გაფართხალებაც კი, როგორ ხმამაღლა და მუსიკალურად არ უნდა დაეჭექათ სიმღერა „ბრიტანელებო,

შინ წადით“-ო, ან როგორ ტკბილადაც არ ეღი-ღინათ ირლანდიელ ვოლუნტერებსა და „ირას“ მეომრებს 1916 წლის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის გარიჟრაჟზე, ქვეყნის დამოუ-კიდებლობისათვის ბრძოლის დაწყებისას, მიღ-წეული შედეგი ხომ სრულიად წარმოუდგენელი იყო?

– არ იყო წარმოუდგენელი! არსებობდა ალ-ბათობა! – იელვა კელტურმა ნაპერწკლებმა მა-იკლის თვალებში.

– იქნებ იმის ალბათობაც იყო, 2007 წელს ირლანდიური ენა ევროკავშირის ოფიციალურ ენად დაეშვათ!?

– კი.

– ისიც ხომ, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებუ-ლი სამეფოს დედოფალი ელიზაბეტ II ერთ ლა-მაზ დღეს, 2011 წელს ირლანდიის დამოუკიდებ-ლობის მოპოვების საუკუნის მიჯნაზე, სახელწი-ფო ვიზიტით ჩამობრძანდება და გვირგვინით შეამკობს დუბლინის კროკ პარკში „სისხლიანი კვირა დღის“ ხსოვნის მემორიალსა და პარნელის სკვერის ხსოვნის ბაღში ირლანდიის თავი-სუფლებისთვის მებრძოლთა პატივის მისაგებად აგებულ – „ლირის შვილების“ სკულპტურასო?

– კი, – ჯიუტად გაიმეორა მაიკლმა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ხანგრძლივი...

გარინდული სამეული ფიქრებში კვლავ კა-რგა ხანს მისდევდა კელტების ძლევამოსილ მა-რშს, უჩინრად ადევნებული...

მეუცხოვა გარემო. თვალი მოვავლე ირგვლივ. კედლები აღმართულან. საკმაოდ აცილებულნი ჩემს სიმაღლეს. კედლებს შუა ვიწრო სავალია.

„ლაბირინთი?“ – გამიელვა თავში.

– ერთი სულის მოთქმით უნდა გახვიდე ბოლოში, – დაიბუბუნა ხმამ და წამზომი ჩაირთო.

მოვწყდი ადგილს. „ინტუიციით, მხოლოდ ინტუიციით უნდა ვიმოქმედო! არ შეჩერდე!“ ვაგულიანებ საკუთარ თავს. კედლები აჩქარებული კადრებივით მიჰქრიან. უკან ვიტოვებ კედლებს.

„ღმერთო რა სწრაფი სრბოლაა, ცოტაღა დარჩა! კიდევ ერთი მოსახვევი. მგონი ბოლოა“, ვიკრებ უკანასკნელ ძალას.

აჰა, ჩათავდა გზის ბოლო სავალი ნაწილი. თავს თავმომწონედ ვწევ მაღლა.

„ვაი, ისევ კედელი! არასწორად მივლია“, და-

მწყდა გული და გავხევდი. ვიგრძენი ვიღაც აიმართა ჩემს ზურგს უკან. სუნთქვაც მესმის.

– გაუძეხი და უჩვენე როგორ უნდა გავიდეს! – მესმის ხმადაბლა ნათქვამი.

შემოვბრუნდი. ვერავის ვხედავ, მხოლოდ ვგრძნობ, ჩემს წინ მდგარ, აშოლტილ არსებას. ირგვლივ საფლავებია. ძველებური, ხელით ნაკვეთი ლოდებით დაფარული. უცებ ერთი საფლავი იხსნება. დგება პატარა, სიფრიფანა გოგონა, ჰაეროვანი თეთრი კაბით. მხოლოდ ერთი წამით შემომანათებს თვალებს და შეძლებისდაგვარად ჩქარი ნაბიჯებით მიუყვება თავბრუდამხვევ ლაბირინთს.

„უნდა მივყვე!“

ავედევნე. გამახსენდა, სიჩქარეში გამომრჩა, ჩემი მხსნელისთვის მადლობა გადამეხადა.

„ფარფატავ, სიოსავით ფარფატავ!“ ვეფერები თვალებით. ვცდილობ არ ჩამოვრჩე....

გოგონამ ადვილად გაიგნო გზა და შეჩერდა. მივუახლოვდი. გვერდზე მიდგა. კარები არ ჩანს, მხოლოდ ღია სივრცეა კედლებს შუა, ბოლოში, საიდანაც უხვად იჭრება მზის სხივები.

თავი ასწია. ფრთხილად ამომხედა. ღია სივრცის კიდემდე მივიდა და შეჩერდა. მეც მივედი.

– ეს ღობე გადალახე და წადი! –გაიშვირა საჩვენებელი თითი გოგონამ.

„ღობეზე როგორმე გადავძვრები. იქით რა ხდება ნეტავ?“

თვალი გავადევნე მის პაწაწინა თითს და შე-

ვათვალიერე მიდამო. გული მომიკვდა: ვრცელ ფართობზე, ეკალ-ბარდებში ალაგ-ალაგ ოდნავ იკვეთებოდა ბილიკები.

– აქ როგორ უნდა ვიარო! – აღმომხდა სასოწარკვეთილს.

სწრაფად მოვეგე გონს და ფეირვერკები ნაირ-ნაირ ფერებად აიჭრა ზეცაში.

– შემომხედე ფრთაფარფატავ, სულაც არ არის ძნელი. – მადლიერი თვალები მივანათე მე. გადავაღწიე ღობეს და ფრთხილად, ძალიან ფრთხილად მოვიკიდე ფეხი ბილიკზე, ეკალ-ბარდების ძირში. „უჰ, რამოდენა მანძილია გასავლელი!"

ზურგს უკან ხმაურით ამოივსო ლაბირინთის ღია სივრცე. შემკრთალი ერთბაშად ვფხიზლდები: „სიზმარი ყოფილა!"

მადლიერებით სავსე მივიკვლევ გზას ამ ბილიკებში, ეკალ-ბარდების ძირში. ჯერაც ბლომადაა სავალი.....

დიდება შენდა, დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!

პოლიგრაფიული უზრუნველყოფა:
გამომცემლობა **„ივერიონი“**

თბილისი, კოსტავას ქ. № 6.

E-mail: info@iverioni.com.ge

ნანა შალამბერიძე

დაიბადა 1951 წელს სენაკის რაიონის სოფ. ნაქალაქევში. სწავლობდა გერმანისტიკას თსუ-ში (1968-1973 წ.წ.). ასწავლიდა გერმანულ ენას სენაკის მესამე და მეხუთე საშუალო სკოლებში (1973-1985 წ.წ.). იყო უცხოურ ენათა სწავლების მეთოდისტი თავდაპირველად, ხოლო შემდგომ სასკოლო ინსპექტორი საქართველოს განათლების სამინისტროს სენაკის რაიონულ განყოფილებაში (1985-1995წ.წ.). თბილისში დაბრუნების შემდეგ (1995წ.) დაიწყო ჟურნალისტური საქმიანობა გაზეთებში „დილის გაზეთი" და „ექსპრეს ქერონიკა". არის დამაარსებელი გერმანულენოვანი გაზეთისა „TBILISSER ZEITUNG"-ი. მასვე ეკუთვნის პროექტები ორენოვანი ჟურნალისა „GOETHE-INSTITUT TBILISI" (2003) და ევროკავკასიური უნივერსიტეტის ჟურნალისა K&L (2006) გერმანულ ენაზე.

არის ავტორი პირველი და მეორე წიგნებისა „მიგრანტები" . გაბლავთ მთარგმნელი ირლანდიელი მწერლის მიქაელ პატრიკ მულვიჰილის წიგნისა „ციმბირის ჯოჯოხეთური ხვრელი".

ცხოვრობს თბილისში. ჰყავს ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი.

ISBN - 978-9941-8-0125-9